ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 11 ივლისი, 2018 | №162 (7707) | ფასი: 60 თეთრი

„რიჟვაძეს არ მივიღებთ, აჭარაში არეულობა დაიწყება“



გვ.2

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

# სუბარი — პრეზიდენტობის კანდიდატი, კახიშვილი — მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი?





გვ.2

## სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნება“ ორად გაიყოფა“

გვ.3

„კახიშვილის უმუშევრად დატოვება ძალიან ცუდი გზავნილია“





გვ.2

## თორნიკე შარაშენიძე: „ნატოს სამიტზე საქართველოსთვის არაფერი შეიცვლება“



## „წულუკიანმა იმდენი რამე იცის, ივანიშვილი მას ვერ შეელევა“

გვ.3

კახა მიქაია: „ეკა ბესელია თინათინ ბოკუჩავას დაემსგავსა“




გვ.4

## კახა კუკავა: „საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოჩნდება, ოპოზიციის რა ნაწილი წავა ჯარში“

**სამართალი**

გვ.7



## პროკურორი: „მარგოშვილი ჩატაევთან შეხვედრის შემდეგ სირიიდან კონკრეტული დავალებით დაბრუნდა“

## 140 ნომერ ავტობუსში 17 წლის ბიჭი დაჭრეს



**ეკონომიკა**

გვ.6



## ყოფილი „ლეო გრანდის“ შენობის ექსპლუატაციის შეჩერებას ითხოვენ

## OPIC-ის დაფინანსებულ პროექტს თბილისის მერია პრობლემებს უქმნის





## საქართველოს მიწებით ყველაზე მეტად რუსეთის მოქალაქეები ინტერესდებიან

ISSN 1987-9385

**5** საქართველოს ნატოში მაპის გარეშე იღებენ?

**6** რომან კაკულია: „როდესაც სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში ფასია განმსაზღვრელი, იქ ხარისხი იკარგება“

**5** საქართველო პაერის დაბინძურებით არა პირველ, არამედ 70-ე ადგილზეა

**6** ლიბერთი ბანკი პენსიონერებისთვის ახალ პროგრამას იწყებს

შორენა მარსაგიშვილი

# „რიჟვაძეს არ მივიღებთ, აჭარაში არეულობა დაიწყება“

რატომ ეწინააღმდეგებიან აჭარაში თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურას, რა პროცესებს უნდა ველოდოთ რეგიონში, რატომ მფარველობს ზონდერებს ივანიშვილი და ვისი ეშინია მას პანიკურად? – ამის შესახებ „ახალ თაობას" „ემსახურე საქართველოს" ლიდერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.



**მურმან დუმბაძე: „აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატის მამა ნაციონალების დროს უსასტიკესი ზონდერი იყო“**

**მურმან დუმბაძე:**

– მივმართავ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას, რომ აჭარის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურა იყოს წარდგენილი. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ყველას გავაგებინო, რომ რიჟვაძის დანიშვნას არ დავუშვებთ.

თორნიკე რიჟვაძის, როგორც პიროვნების მიმართ, პრეტენზიები არა მაქვს, მაგრამ დაუშვებელია, მან აჭარის რეგიონი ჩაიბაროს. გარდა იმისა, რომ ის ახალგაზრდა და გამოუცდელია, მამამისი იყო უსასტიკესი მარბიელი. ნაციონალების მმართველობის დროს ის ოპოზიციის მიტინგებს სასტიკად არბევდა. ამ ზონდერს დღეს აჭარაში მაღალი თანამდებობა უკავია – ის ხელვაჩაურის პოლიციის უფროსია.

მას ბევრი აქცია აქვს დარბეული, გაგახსენებთ 2011 წლის 21 მაისის აქციის დარბევას. მაშინ სახალხო კრება დიდი აქციისთვის ემზადებოდა, აქციები ტარდებოდა ბათუმშიც. მოგვივიდა ინფორმაცია, რომ აჭარის ტელევიზია სახალხო კრების აქციის გაშუქებას არ აპირებდა. მივიღეთ სპონტანური გადაწყვეტილება, რომ მიტინგი ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულიყო. ამ გზით გვინდოდა, ტელევიზიის ხელმძღვანელობა გვეიძულებინა, აქცია გაეშუქებინა.

ტელევიზიასთან პოლიცია დაგვხვდა და შენობაში არ შეგვიშვეს. მაშინ წამოვაყენე ულტიმატუმი – 15 წუთში თუ არ გააღებენ კარს, რომ ტელევიზიის ხელმძღვანელობას წერილი გადავცეთ, იძულებული ვიქნებით, ძალით გავაღოთ სახელმწიფო ტელევიზიის შენობაში.

15 წუთი გასული არ იყო, რომ იქაურობა ნიღბიანებით და მარბიელებით გაივსო. ამ რაზმებს დავით რიჟვაძე ხელმძღვანელობდა. ის პირდაპირ წიხლებით შესდგა ადამიანებს. ამის ამსახველი კადრები დღემდე არსებობს. დარბევის შემდეგ 7 ადამიანი დააპატიმრეს და მათ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მე მაშინ დაჭერას გადავურჩი, 26 მაისისთვის შემომინახეს, ეტყობა.

ციხეში მეც გამიშვეს, საიდანაც ერთ თვეში გამოვედი და, ბუნებრივია, თანამებრძოლების სასამართლო პროცესებს ვესწრებოდი. ამ ადამიანების წინააღმდეგ ცრუ ჩვენებების მისაცემად რიჟვაძეს უამრავი პოლიციელი მოჰყავდა. მანაც არაერთი ცრუ ჩვენება მისცა. ის ძალიან აქტიური იყო.

***– სად წავიდა რიჟვაძე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ?***

– არსად. ისევ პოლიციაში დარჩა. ხელისუფლებაში რომ მოვედით, ირაკლი ღარიბაშვილმა აჭარის პოლიციის უფროსად დანიშნა თელია. ერთ დღესაც ამ ადამიანს დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. ის თავად მოვიდა ჩემთან. შეხვედრა უმაღლეს საბჭოში, ავთანდილ ბერიძის კაბინეტში შედგა. თელიას გადავეცი იმ პოლიციელების სია, რომლებიც უსასტიკესად გვარბევდნენ. თელია დამპირდა, რომ ამ საქმეს მიხედავდა. ამ სიაში პირველი რიჟვაძე იყო. თელიას პირდაპირ ვუთხარი, კაცი სამსახურიდან გაეგდო.

***– გააგდო თელიამ რიჟვაძე?***

– თელიამ მისი გაგდების პირობა მომცა. ამნისტიის წყალობით რიჟვაძის მიერ დაჭერილი ბიჭები ციხიდან გამოვიყვანეთ და ის მარბიელი აღარც მომიკითხავს.

***– რატომ აღარ მოიკითხეთ?***

– ამისთვის არ მეცალა, ოპოზიციაში წავედი. ახლა ჩემთვის ჩანაწერებს ვაკეთებდი და აღმოვაჩინე, რომ აჭარის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი აღმოჩნდა სასტიკი ზონდერის შვილი.

აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არის ცოტნე ანანიძე. ცოტნე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც დავით რიჟვაძემ დაარბია და დააჭერინა 2011 წელს. ცოტნემ ახლა თორნიკეს კანდიდატურას დაუჭირა მხარი.

***– მამის დანაშაულზე შვილს ხომ არ მოსთხოვდა პასუხს?***

– მანაც ასე მითხრა, შვილს მამისგან გავმიჯნავო. არც მე ვთხოვ მამის დანაშაულზე პასუხს ამ ახალგაზრდას, მაგრამ ის მთავრობის მეთაური არ უნდა გახდეს.

მისი კანდიდატურა პოლიტსაბჭოს სხდომაზეც გაიტანეს. ერთ-ერთმა დეპუტატმა თქვა, მამამისი ოპოზიციას არბევდა და მისი დანიშვნა ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევსო.

ამაზე ივანიშვილმა ასეთი პასუხი გასცა, 30.000 პოლიციელი მონაწილეობდა ასეთ საქმეებში და შვილებს ხომ არ მოვთხოვთ პასუხსო.

***– სანდოა ეს ინფორმაცია, მართლა ასე თქვა ივანიშვილმა?***

– ეს ინფორმაცია სანდოა. ივანიშვილს სააკაშვილის ეშინია პანიკურად, თორემ მის ზონდერებს დიდად სწყალობს. ამის დასადასტურებლად ერთ ისტორიას მოგიყვებით.

ცოტა ხნის წინ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე სააკაშვილს 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 2013 წელი იყო. ვალერი გელაშვილი ჩემთან მოვიდა და მისაყვედურა, რატომ მიშლი ხელს, სამართალი ვიპოვოო, მითხრა, რომ ადამიანი, რომელიც მის ცემაში მონაწილეობდა, ბათუმის პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

***– ვისზეა საუბარი?***

– ვინმე სირაძეზე. ამის შესახებ მე და ვალერიმ ივანიშვილსაც ვუთხარით. მისი პასუხი ასეთი იყო, სირაძეს ეს დავალება რომ არ შეესრულებინა, მას დაემართებოდა იგივე, რაც გელაშვილს დამართესო. დიახ, ივანიშვილი მფარველობს ნაციონალების მარბიელებსა და ზონდერებს.

მისი შერჩეულია თორნიკე რიჟვაძის კანდიდატურა. ყველამ კარგად დაიმახსოვროს, ჩვენ მას არ მივიღებთ. რეგიონში არეულობა და გამოსვლები დაიწყება.

## სუბარი — პრეზიდენტობის კანდიდატი, კახიშვილი — მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი?

შორენა მარსაგიშვილი

ერი სამთავრობო ცვლილებების მოლოდინშია. „ქართული ოცნება“ რამდენიმე ახალი სახით გაგვახარებს. სულ მალე ახალი მთავარი პროკურორიც გვეყოლება და პრეზიდენტობის კანდიდატის ვინაობასაც გაგვიმხელენ.

პარლამენტის სპიკერი დაგვპირდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს ივლისის შუა რიცხვებში დაასახელებენ. „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას ვერ იღებენ.

საოცნებო კანდიდატის შესარჩევად კასტინგი ბევრმა გაიარა. როგორც ამბობენ, ამ პოსტზე აშშ-ში საქართველოს ელჩ დავით ბაქრაძის კანდიდატურაც განიხილება. თუ მართლა მისი კანდიდატურა დასახელდა, ამომრჩეველი, შესაძლოა, გაურკვევლობაში ჩავარდეს – „ევროპული საქართველო“ თავისი დავით ბაქრაძის კანდიდატურის წარდგენას აპირებს.

ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ პრეზიდენტის კანდიდატად სოზარ სუბარისა და სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურებიც განიხილება.

სუბარს ზოგი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორობასაც უწინასწარმეტყველებს. არც იმას გამორიცხავენ, რომ მან მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის პოსტი დაიკავოს.

ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი შალვა თადუმაძე მთავარი პროკურორის პოსტზეა წარდგენილი.

გუშინ, 10 ივლისს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მთავრობის ადმინისტრაციას კახა კახიშვილს ჩააბარებენ. ის „ოცნების“ ყველაზე პოპულარული მინისტრი იყო. სასჯელაღსრულებისა და იუსტიციის სამინისტროების გაერთიანების გამო ის თანამდებობის გარეშე რჩება, რამაც საზოგადოების გაკვირვება გამოიწვია.

რაც შეეხება მთავრობას, ის მამუკა ბახტაძემ დღეს, 11 ივლისს, უნდა წარმოადგინოს.

ნიუპოსტის ცნობით, მინისტრთა ახალ შემადგენლობაში რამდენიმე ახალ სახეს ვიხილავთ. ფინანსთა მინისტრად ვანო მაჭავარიანი უნდა წარადგინონ, რომელიც ჯეოსელის ყოფილი კომერციული დირექტორია, ხოლო ეკონომიკის მინისტრად გიორგი ქობულიას ვიხილავთ, რომელიც ექიმი-კარდიოლოგია და ამჟამად მოსკოვში საქმიანობს.

ნიუპოსტის ინფორმაციითვე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი თანამდებობას ტოვებს. ჩხენკელს აღნიშნულ თანამდებობაზე ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორი მიხეილ ბატიაშვილი შეცვლის.

## თორნიკე შარაშენიძე: „ნატოს სამიტზე საქართველოსთვის არაფერი შეიცვლება“

ნონა ცაბაძე

რას შეცვლის ნატოს 11-12 ივლისის სამიტი? რატომ ეწყება რუსულ მხარეს სრული ისტერია სამიტის მოახლოებასთან ერთად? რა შანსები აქვს საქართველოს? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, ჩვენი საზოგადოება ნატოს სამიტის მოლოდინშია. არის თუ არა შანსი, რომ მაპის გარეშე მიგვიღონ ნატოში? რატომ გაჩნდა ეს მოლოდინი და რას იტყვით თქვენ?***

– სამიტისგან არაფერს განსაკუთრებულს არ ველი. ნატოს გაცილებით მძიმე და მწვავე საკითხები აქვს გადასაწყვეტი ამ ეტაპზე, რომ იტყვიან, გადაუდებელი საკითხები, ვიდრე ჩვენი საკითხია. ჩვენი საკითხი გაყინულია უკვე ათი წელიწადია და ამ ყინულის გალღობა არავის უნდა. ყველას აწყობს, რომ საკითხი იყო ამ პოზიციაში, რადგან ჯერჯერობით გამოსავალს ვერ ხედავენ. შესაბამისად, დაკავდებიან სხვა საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია.

***– კერძოდ?***

– ეს არის ამერიკის ურთიერთობა და ტრამპის დამოკიდებულება ამ ალიანსთან. ჯერჯერობით ეს არის ამ სამიტის უმთავრესი საკითხი. საქართველოსთვის მაპის მინიჭება და მით უმეტეს მაპის გარეშე გაწევრიანება, სამწუხაროდ, ბოდვაა და მეტი არაფერი!

***– ანუ თქვენ იმედიანი მოლოდინი არ გაქვთ? არანაირ გაწევრიანებაზე არ იქნება საუბარი?***

– ვინმე სერიოზულ ადამიანს თუ აქვს ეს მოლოდინი, სიამოვნებით მოვუსმენ. მე ეს მოლოდინი არ მაქვს.

***– რუსული მედია აქტიურად საუბრობს ამ თემებზე. ნატოში გაწევრიანების შესახებ ინფორმაციაც სწორედ მათგან მომდინარეობს. რატომ იყურება რუსეთი შიშის თვალებით?***

– პარანოიას არა აქვს საზღვარი. ვაითუ მაინც მიიღონ, ეს შიში მათ არ ასვენებთ. ეს უკვე ჩვეულებრივი პარანოიაა. პერიოდულად ეს უმწვავდებათ ხოლმე და ახლაც გამწვავდა, როგორც ჩანს, თუმცა მიზეზი არ ვიცი, რის გამო, რადგან მე ამ შიშის ლოგიკურ საფუძველს ვერ ვხედავ.

***– ექსპერტების მხრიდან კეთდება შეფასებები, რომ შესაძლოა თავად ამ ალიანსის ყოფნა-არყოფნის საკითხიც კი დადგეს. რატომ არის ასეთი შიშნარევი მოლოდინები?***

– რა თქმა უნდა, ტრამპის ფაქტორის გამო, მაგრამ, არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე, რომ ალიანსს საფრთხე დაემუქროს. რა თქმა უნდა, ტრამპმა, ფაქტობრივად, ჩაშალა დიდი შვიდეულის შეხვედრა, თუმცა იქ საქმე ეხებოდა ვაჭრობის თემას, სავაჭრო ტარიფებს. ნატოს შემთხვევაში მსგავსი წინააღმდეგობები არ არის. ერთადერთი, არის ის, რომ ამერიკა ითხოვს ყველასგან, მათ გაზარდონ 2%-მდე დანახარჯი თავდაცვაზე.

***– გერმანიასთან აქვს ტრამპს ყველაზე მეტი პრეტენზია.***

– დიახ, მასთან აქვს ყველაზე დიდი პრეტენზია. თუმცა გერმანია არ არის ამისთვის მზად. გერმანია თუ გაზრდის 2%-მდე თავის სამხედრო დანახარჯს, ეს ნიშნავს, რომ დამატებით 50 მილიარდი დოლარი უნდა აითვისოს გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ და ჯერჯერობით ამ თანხის ამთვისებელი არ არის. ამიტომაც ვერ ზრდის გერმანია დანახარჯს და სწორედ ამაზეა ლაპარაკი. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი ნორმალურად დამთავრდება და ნატო დარჩება ნატოდ.

***– ტრამპს არ სურს, ძირითადად ამერიკამ შეინახოს ეს ალიანსი.***



– კი, ეს პრობლემა ნამდვილად დგას. სამწუხაროდ, ევროპელები მიეჩვივნენ უქმად კარგ ცხოვრებას. თუმცა ასე არ არის, უქმად კარგი ცხოვრება არავის არა აქვს, კარგ ცხოვრებაში ყველამ უნდა გადაიხადოს ფული, მათ შორის – თავდაცვისთვის. ცივი ომის დამთავრების შემდეგ ევროპამ ჩათვალა, რომ ყველაფერი დამთავრდა, შეუძლიათ, მშვიდად ცხოვრება და ომი აღარ იქნება არასოდეს. ეს ასე არ არის. გამოფხიზლება მოვიდა, მაგრამ მაინც ნელ-ნელა ფხიზლდებიან.

***– ტრამპის პოზიცია ვერ იქნება გადამწყვეტი?***

– არა, ნამდვილად ვერ იქნება გადამწყვეტი პოზიცია. უბრალოდ, იქნება საკითხისადმი მიდგომა, რომელსაც დასვამს ტრამპი. კი, ყველაზე დიდი ხმა აქვს ამერიკას, მაგრამ გადამწყვეტი ხმა არა აქვს.

***– რას შეცვლის ეს სამიტი?***

– ნატოში შემავალ ქვეყნებს მოუწევთ, გაზარდონ საკუთარი ხარჯები. ეს იქნება ამ სამიტის მთავარი საკითხი, მეტი ალბათ არაფერი.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ქართული ოცნება“ ორად გაიყოფა“

## „კახიშვილის უმუშევრად დატოვება ძალიან ცუდი გზავნილია“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო სოსო, მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობასთან დაკავშირებით თითქოს შეთანხმება მიღწეულია, მაგრამ „ქართული ოცნების“ ოფისში კვლავ იქნება შეხვედრა საკადრო საკითხებზე. როგორ ფიქრობთ, გუნდში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საკადრო საკითხებზე უფრო მასშტაბური გახდება?***

— „ქართული ოცნების“ გუნდში წინააღმდეგობა უკვე აშკარად არის გამოკვეთილი და ამის დამალვა სასაცილოც აღარ არის. სააკაშვილის დროს რას ემყარებოდა გუნდის ე.წ. ერთსულოვნება? ფასეულობები, ღირებულებები, პრინციპები ჰქონდათ საერთო?! რასაკვირველია, სულაც არა – შიშს ემყარებოდა. დღეს შიში არ გამქრალა, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა. როგორც კი შიში შემცირდა, ხალხი გათამამდა. საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ სვლა ბევრს მობეზრდა, ამის ნიშნები პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე ჩვენ უკვე ვიხილეთ – „ავტობუსისა და ლიმუზინის დეპუტატების“ შედარებისას.

ჯერ ახალი კაბინეტის შემადგენლობა ცნობილი არ არის, მაგრამ საზოგადოებამ უკვე იცის, რომ წულუკიანი არსად მიდის, მეტიც, ის გაერთიანებულ სამინისტროს უხელმძღვანელებს. კახიშვილი კი ამ დროს უმუშევარი რჩება. მე რატომღაც მაინც მეგონა, რომ კახიშვილი იქნებოდა მთავარი პროკურორი, რადგან ის ყველაზე მისაღები ვარიანტი იყო „ოცნებისთვის“. შალვა თადუმაძე კარგი ბიჭია ანუ ცუდ საქმეებში არ არის გარეული, მაგრამ ის მაინც არის წულუკიანთან ასოცირებული, მათ ნათელ-მირონობა აკავშირებთ და ამას ვერ უარყოფენ. ამიტომ ვამბობ, რომ კახიშვილი იდეალური არჩევანი იქნებოდა დღეს ხელისუფლებისთვის. თუმცა, არათუ პროკურორად, საერთოდ უმუშევრად ტოვებენ.

ეს ძალიან ცუდი გზავნილია. მე არ მგონია, რომ „ქართულ ოცნებაში“ ამ საკითხზე ერთსულოვნება იყოს, ეს უბრალოდ წარმოუდგენელი და დაუჯერებელი იქნებოდა.

***— ვიღაცები აპროტესტებენ მთავრობაში წულუკიანის დარჩენას, ეს აშკარაა.***

— დიახ, მაგრამ მეორე ნაწილი ამბობს, რომ ის ძლიერია და ძლიერი არ უნდა წავიდეს. იმას კი არ ამბობენ, რომ სასამართლო სისტემის რეფორმა ჩააგდო და ეს ძალიან ცუდ შედეგებს მოგვიტანს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. უკვე გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გვითხრა, შეიძლება მაპ-ზე ფიქრი თუ სასამართლო სისტემის რეფორმას მიხედავთო.

უმრავლესობის ბევრი დეპუტატი ვერც კი აცნობიერებს, რომ სასამართლოში დღეს არსებული ვითარება თავად ხელისუფლებას გამოუთხრის ძირს.

წულუკიანი როდესაც პარლამენტში მივიდა, მას ზარდიაშვილმა უთხრა, ქალბატონო თეა, როგორ მოახერხეთ, რომ სასამართლო სრულად განთავისუფლებულიყო!

ამ მლიქვნელობამ პარლამენტში ვანო მერაბიშვილის მისვლა გამახსენა, რომელსაც ერთ-ერთმა ნაციონალმა დეპუტატმა ჰკითხა – თქვენ ის მერაბიშვილი არ ხართ, რომელმაც მოახერხა და ეზოებიდან მანქანებს აღარ იპარავენ! ქურდობა გააქრეთ!

ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ეს კი არ უნდა მოახერხონ მინისტრებმა, ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, მათ სწორედ ამაში ვუხდით ფულს, რომ მათ ეს გააკეთონ.

ასეთი გამოსვლები, მით უფრო პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან, მით უფრო 21-ე საუკუნეში, თითქოს დემოკრატიულ სახელმწიფოში, უბრალოდ, ამაზრზენია. დეპუტატს, რომლის უმთავრესი ფუნქციაც აღმასრულებლის კონტროლია, თავის დანიშნულებაზე წარმოდგენა არ აქვს. თუმცა, ისეთი დეპუტატებიც არიან, რომლებიც სათქმელს პირდაპირ ამბობენ, როგორც ეს ქალბატონმა მაჭავარიანმა გააკეთა.

„ქართულ ოცნებაში“ ახლა დუღილის პროცესია, მაგრამ როდესაც რაღაც მაგრად დუღს, ქვაბს თუ სახურავი არ მოხადე, აუცილებლად გადმოვა.

***— რისი თქმა გინდათ, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება?***

— წარმოუდგენელია, რომ გაგრძელდეს. მე არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნება“ ორად გაიყოს. ამის ნიშნები უკვე არის და თანაც სერიოზული ნიშნები.

***— როგორც ეს თავის დროზე მოქალაქეთა კავშირში მოხდა?***

— დიახ, მაგრამ მაშინ ერთ მხარეს იყვნენ ახალგაზრდები, რეფორმატორები და მეორე მხარეს – შევარდნაძის მომხრეები. დღეს რა ხდება, ერთ მხარეს არიან ისინი, ვისაც შიგნით არ მოსწონთ რაღაცები, ვისაც ასევე არ მოსწონს კვირიკაშვილის გაშვება და მეორე მხარეს არიან ვითომ ახალგაზრდები, რომლებიც ამბობენ, რომ ახლა ისინი არიან ხელისუფლებაში, მორჩა და დამთავრდა.

***— და ამ დროს ივანიშვილი სად არის?***

— ივანიშვილი შორიდან დგას და ამ ყველაფერს აკვირდება, მდუმარედ აკვირდება. მე მაინც მგონია, რომ ივანიშვილი მათ კიდევ აცლის, კიდევ მისცემს ცოტა დროს, კიდევ დააკვირდება და შემდეგ უკვე არ გამოვრიცხავ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მართლაც დანიშნოს. ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც ივანიშვილს მიჰყავდა, ვადამდელი არჩევნების საკითხი განიხილეს კიდეც.

ისე, მცირე მთავრობის კონცეფცია მხოლოდ მთავრობის შემადგენლობის შემცირებას სულაც არ გულისხმობს, ეს ერთიან კონტექსტში უნდა იქნას გააზრებული და ეს მიდგომა პარლამენტმაც უნდა გაიზიაროს. არ შეიძლება, სამინისტროები აღარ არსებობდეს და პარლამენტში არარსებული სამინისტროს კომიტეტი იყოს, ეს სრული აბსურდი და გაუგებრობა იქნება. კი, გასაგებია კომიტეტის თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების კომფორტი, ხელფასები, პრემიები, მანქანები, პირადი მძღოლები, მომსახურება და ა.შ., მაგრამ ახალმა პრემიერმა ამ აბსურდზე რაღაც უნდა თქვას.

**ბახტაძის შესაფასებლად, სულ ცოტა, 6 თვე მაინც არის საჭირო, მაგრამ ასეთ ახალგაზრდა ადამიანს თუ ალექსანდრე მაკედონელისა და ნაპოლეონის ნებისყოფა და რკინის ნერვები არ აქვს, ის რეფორმატორად ვერ იქცევა. რეფორმების აუცილებლობა კი გარდაუვალია**

***— როგორი იქნება ახალი პრემიერი, მისი წინამორბედების მსგავსი თუ მეტი პოლიტიკური წონა ექნება მას?***

— ჯერ ბახტაძეს მხოლოდ სუბიექტური სიმპათია-ანტიპათიის დონეზე ვიცნობთ. ბახტაძე არ გვინახავს, როგორია, რა თვისებები აქვს, მაგალითად, აღელვების დროს, რთულ სიტუაციაში როგორ იქცევა, შეუძლია თუ არა საკუთარი თავის გაკონტროლება.

ეს ყველაფერი პიროვნულია, მაგრამ ბევრი რამე სწორედ პიროვნული მონაცემებიდან მოდის. მის შესაფასებლად სულ ცოტა 6 თვე მაინც არის საჭირო, მაგრამ ასეთ ახალგაზრდა ადამიანს თუ ალექსანდრე მაკედონელისა და ნაპოლეონის ნებისყოფა და რკინის ნერვები არ აქვს, ის რეფორმატორად ვერ იქცევა. რეფორმების აუცილებლობა კი გარდაუვალია.

პოლიტიკური წონა რომ მოიპოვოს, ამისთვის ბახტაძეს რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოუწევს.

***— და რა არის ეს ნაბიჯები?***

— რეფორმები! ნეპოტიზმმა წალეკა ქვეყანა, ამისგან თუ არ განვთავისუფლდით და რეალური რეფორმები თუ არ გატარდა, მაშინ დიდი ხნით უკან დავბრუნდებით. თუ მართლაც გაატარა რეფორმები, მაშინ გარკვეულ წონას შეიძენს, მაგრამ გაბედავს კი?! ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

ისე, ერთიც კია – ძალიან ცუდი სასტარტო ველი ხვდება ბახტაძეს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. საშინაო პოლიტიკაში ჭუბერის ამბები, ბრიუსელის ნატოს სამიტი, სადაც მორიგი იმედგაცრუებისთვის ვართ განწირულები, მაგრამ კვლავ გვეტყვიან ომახიანად, რომ ავღანეთში თქვენი ბიჭები გვჭირდება! ძალიან ცუდია ქვეყნის იმიჯისთვის ხადას ხეობაში მომხდარი საშინელი უბედურება. „ოცნება“ ვერანაირი პიარით ვერ გადაფარავს ამერიკული ოჯახის ამოწყვეტის ამ საშინელ ტრაგედიას.

საქართველოს უსაფრთხო იმიჯი ვიღაცამ ერთი ხელის მოსმით ნაცარტუტად აქცია. ეს არის შავი ლაქა, რომელსაც არ ვიცი, რა ამოიყვანს.

---

შორენა მარსაგიშვილი

# „წულუკიანმა იმდენი რამე იცის, ივანიშვილი მას ვერ შეელევა“

## კახა მიქაია: „ეკა ბესელია თინათინ ბოკუჩავას დაემსგავსა“

**როგორ აპირებენ „ოცნებაში" ურჩი დეპუტატების გარჩევას, რომელი მეოცნებე დაემსგავსა გაჭრილი ვაშლივით ნაციონალებს, რატომ არის გამართლებული პრეზიდენტობის კანდიდატად გიგანტური ხის დასახელება, რატომ ვერ ელევა ივანიშვილი წულუკიანს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" „დაიცავი საქართველოს" ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.**

***— საპარლამენტო უმრავლესობამ გადაწყვიტა, დეპუტატებისთვის ეთიკის კანონი მიიღოს. თქვენი აზრით, ეს რა არის?***

— რა არის და ჩვეულებრივი ამბავი. პარლამენტის ხელმძღვანელებად კომკავშირელები როცა გყავს, უნდა იცოდე, რომ ისინი კომკავშირულ კანონებს მიიღებენ.

***— პარლამენტის „ვერხუშკას“ ძირითადად იმ ასაკის ხალხი შეადგენს, ვისაც კომკავშირმა ვერ მოუსწრო.***

— ვინ გითხრათ, რომ ვერ მოესწრნენ? მოდით, ასე დავსვათ კითხვა, დაიშალა კომკავშირი? ჩვენ დღემდე საბჭოთა კავშირში ვცხოვრობთ და პარლამენტის სადავეები თანამედროვე კომკავშირელებმა ჩაიგდეს ხელში.

***— ამ თანამედროვე კომკავშირელებს ეთიკის კანონის მიღება რაში დასჭირდათ?***

— არანაირი ეთიკის კანონი არაა ის, რის მიღებასაც კომკავშირელები აპირებენ. ამ კანონით ისინი პარლამენტის წევრებს ეუბნებიან, ხმა არ უნდა ამოიღოთ ჩვენი ბრძანების გარეშე.



ადამიანებს პირდაპირ უზღუდავენ განსხვავებული აზრის გამოთქმის უფლებას.

პარლამენტი რამდენიმე თანამედროვე კომკავშირელსა და კომუნისტს აქვს ექსპლუატირებული. პოზიცია მხოლოდ მათ უნდა დააფიქსირონ, დანარჩენების მოვალეობა პულტზე ხელის დაჭერაა. ტელევიზიით არაერთხელ გავიდა სიუჟეტი იმის თაობაზე, თუ როგორ აძლევენ დეპუტატებს ესემესებით მითითებებს ვოლსკი და ბესელია.

ეთიკის კანონის მიღებაზე იმიტომ ალაპარაკდნენ, რომ უნდათ, ესემესებით დეპუტატების დატერორება კანონის ჩარჩოებში მოაქციონ.

***— ამ კანონის მიღება აუცილებელი თუ გახდა, გამოდის, უმრავლესობაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი.***

— იმას, რაც უმრავლესობის შიგნით არის, ვერც აზრთა სხვადასხვაობას დავარქმევ და ვერც – უთანხმოებას. აქ მხოლოდ პიროვნულ დაპირისპირებაზე თუ ვისაუბრებთ. იდეური და კონცეპტუალური დაპირისპირება „ოცნებაში“ არ არის. ასეთი დაპირისპირება რომ იყოს, მმართველი გუნდი აქამდე დაიშლებოდა.

***— მმართველი გუნდის დაშლაზე დიდი ხანია, რაც საუბრობენ, მაგრამ „ოცნებამ“, ასე თუ ისე, გაძლო.***

— „ოცნებამ“ კი არა, ბიძინა ივანიშვილმა გაძლო. „ქართული ოცნებიდან“ ყოფილი პრემიერი რომ წავიდეს, წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? დამთავრებული არ ექნება, მივდივარო, რომ მისი პარტია მარტივ მამრავლებად დაიშლება.

***— ბიძინა და „ოცნება“ ერთად როდემდე გაძლებენ?***

— ეს ბიძინაზეა დამოკიდებული. ახლა „ოცნებას“ კომკავშირული ქორწილი აქვს. ვნახოთ, როდემდე გაქაჩავს კომკავშირული სული.

***— ნაციონალების მმართველობის დროს უმრავლესობის დეპუტატებს საკუთარი აზრის გამოხატვა აკრძალული ჰქონდათ. ამ პროცესს მაია ნადირაძე აკონტროლებდა. ელოდით, რომ „ოცნების“ ხელისუფლების დროსაც იგივე იქნებოდა? ამათი ლიდერი ხომ ამბობდა, ისეთი დემოკრატია იქნება, ევროპასაც კი გავაკვირვებთო.***

— მართალი გითხრათ, მთლად ამ დონეზე თუ დაეშვებოდნენ, არ ველოდი. 2012 წელს დღის წესრიგში ასეთი საკითხი იდგა – სააკაშვილის ხელისუფლების დასრულება. ამის გამო ადამიანებმა ისეთ რაღაცებზე დახუჭეს თვალი, რაზეც არ უნდა დაეხუჭათ. არის ასეთი ტერმინი – იძულება. ჩვენ იძულებული ვიყავით, „ოცნება“ აგვერჩია.

გავიდა დრო, „ოცნებამ“ ნაციონალების ყველა უბედურება აითვისა, თავის გუნდში მიიღო პორტირებული ნაცები და მივიღეთ ის სურათი, რომელიც დღეს გვაქვს.

***— როდესაც საკრებულოს დეპუტატი იყავით, ნაცებსა და ქოცებს სთხოვეთ, სხვადასხვა ფერის მაისურები ჩაიცვით, ვეღარ გარჩევთ, ვინ რომელ პარტიას წარმოადგენთო.***

— ახლაც იმავე რჩევას მივცემდი. ნაცები და ქოცები ერთმანეთს სიამის ტყუპებივით დაემსგავსნენ, ზუგდიდის საკრებულოში მათი ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელია.

***— პარლამენტში რა სიტუაციაა, იქაც შეუძლებელია მათი გარჩევა ერთმანეთისგან?***

— იგივე სიტუაციაა. პირადად მე ძალიან მიჭირს მათი ერთმანეთისგან განსხვავება.

***— ბოკერია და თალაკვაძე დაემსგავსნენ ერთმანეთს?***

— მაგათზე საუბარი არაა. უბედურებაა ისაა, რომ ეკა ბესელიაც კი ნაციონალებს დაემსგავსა. არადა, ბესელია წლების განმავლობაში იბრძოდა ამ რეჟიმის წინააღმდეგ. თალაკვაძე და ბოკერია ერთმანეთისგან არასდროს განსხვავდე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# კახა კუკავა: „საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოჩნდება, ოპოზიციის რა ნაწილი წავა ჯართში“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***— ბატონო კახა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე არცთუ დიდი დრო რჩება, თუმცა არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება კანდიდატების დასახელებას არ ჩქარობენ. იყო საუბარი, რომ ოპოზიციას ჰყოლოდა ერთიანი კანდიდატი, რამდენად შეთანხმდით ამ საკითხზე?***

— სამწუხაროდ, პოლიტიკურ ოპოზიციაში რთული ვითარებაა, „თავისუფალმა საქართველომ“ დიდი დრო დავხარჯეთ იმისთვის, რომ რაღაცა ტიპის კოალიციები, თანამშრომლობისთვის ფორმატები შეგვექმნა, მაგრამ ეს ძალიან რთულია. ოპოზიციური სპექტრი არის ძალიან დაქსაქსული და ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა რაიმე ტიპის შეთანხმების მიღწევა. ვაპირებთ, რომ დამოუკიდებელ რეჟიმში გავაკეთოთ განცხადება.

***— საპრეზიდენტო კანდიდატი შერჩეული გყავთ?***

— კანდიდატი არ გვყავს შერჩეული და, სავარაუდოდ, როგორც კანონი ითვალისწინებს, აგვისტოს ბოლოს, სექტემბრის დასაწყისში გამოვაცხადებთ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ „თავისუფალი საქართველო“ მიიღებს ამ არჩევნებში მონაწილეობას.

***— თავად თქვენ ხომ არ იქნებით პრეზიდენტობის კანდიდატი?***

— არა გვაქვს ეს საკითხი გადაწყვეტილი. რამდენიმე კანდიდატს განვიხილავთ, როგორც პარტიის შიგნით, ასევე პარტიის გარედან დამოუკიდებელ პირებს. უახლოეს პერიოდში ამას გადავწყვეტთ.

***— რის იმედი გაქვთ? მით უმეტეს, თუ დამოუკიდებლად გახვალთ?***

— ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ ამ არჩევნების მოგება ძალიან რთული ამოცანაა. ჩვენთვის იდეაფიქსი არის ის, რომ ეროვნულმა ძალებმა წამოაყენონ საკუთარი კანდიდატი. ქართული პოლიტიკა ოკუპირებული აქვს ლიბერასტებს და ჩვენი ამოცანა არის, რომ ეროვნული მოძრაობა დავაბრუნოთ ქართულ პოლიტიკაში.

***— აღარაფერი შეიცვლება? არანაირი გაერთიანებები არ იქნება?***

— გამორიცხული სექტემბრამდე არაფერი არ არის, თუმცა პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმების პროცესი ვერ მოხერხდა. მე იმედი მაქვს, რომ საზოგადოებამ შეიძლება უბიძგოს ამ პროცესს. 2007 წლის ოპოზიციური გაერთიანებაც სწორედ ხალხის დაკვეთით მოხდა. ხალხმა გააერთიანა ოპოზიცია. იმედი მაქვს, რომ თუ საზოგადოებრივი მოძრაობა დაიწყო, თუნდაც იმ ტიპის, როგორიც სარალიძის მხარდამჭერ აქციებზე იყო, შესაძლებელია, ოპოზიცია იძულებული გახდეს, რომ გარკვეული ნაბიჯები ერთმანეთისკენ გადადგას.

***— რა იქნება ხალხის ქუჩაში გამოყვანის მოტივი?***

— აუცილებელია ჩამოყალიბდეს ორიენტირი, თუ რა გვინდა და საზოგადოების და ოპოზიციის ხედვები დაემთხვეს ერთმანეთს. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს არა უბრალოდ რეჟიმის შეცვლა, არამედ რეჟიმთან ერთად სისტემის შეცვლაც. არც ქოცები, არც ნაცები!

***— ნაციონალური მოძრაობაც ცდილობდა ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებას წინასაარჩევნოდ, თუმცა ვერც ისინი ახერხებენ ერთიან კანდიდატზე შეჯერებასო.***

— ნაციონალური მოძრაობა არის მკვდარი პოლიტიკური ორგანიზმი. როგორც მიცვალებული არის მიერთებული აპარატზე, ისე ნაცმოძრაობაა მიერთებული რუსთავი 2-ზე და მხოლოდ ეს ტელევიზია აცოცხლებს მას. ის, რომ ოპოზიციის მომავალი დავუკავშიროთ ნაცმოძრაობას, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ოცნება! რა როლსაც შევარდნაძის დროს აღორძინება ასრულებდა, ზუსტად იგივე როლი აქვს დღეს ნაცმოძრაობას. ჩვენ 2003 წელს ისინი გვერდიგვერდ დავაყენეთ. დღესაც ჩვენ ყველამ უნდა ვთქვათ, რომ ეს ორი ძალა არის ერთი სისტემა, რომელიც ერთად უნდა მოვიშოროთ.



***— რა შანსები გაქვთ ამ ხელისუფლების მოშორების? საუბარია, რომ „ოცნების“ გუნდში სერიოზული დუღილი მიმდინარეობს და დიდი ცვლილებები იგეგმება. რას იტყვით თქვენ?***

— დღეს ეს საინტერესო აღარ არის, იმიტომ, რომ რაიმე ცვლილება და რაიმე სიახლე „ქართული ოცნების“ და თუნდაც ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ველარ შეიქმნება. ორივეს აქვს ძალიან დიდი ბარიერი. ნაციონალური მოძრაობა ვერ გადაახტება სააკაშვილს და „ქართული ოცნება“ ვერ გადაახტება ბიძინა ივანიშვილს. დღეს ხელისუფლებაშიც ყველა ხვდება, რომ წულუკიანის დატოვება არის მცდარი ნაბიჯი, ყველა ხვდება, რომ ეს არის „ქართული ოცნების“ დაღუპვა და მაინც აკეთებენ ამას. რატომ? იმიტომ, რომ ივანიშვილს ვერ ახტებიან. ასევეა ნაციონალური მოძრაობაც, უამრავ შეცდომას უშვებენ იმის გამო, რომ მიშას ვერ გადაახტებიან.

***— ანუ პირადად ივანიშვილის სურვილია, რომ წულუკიანი დარჩეს იუსტიციის მინისტრად?***

— რა თქმა უნდა! ეს პირადად მისი სურვილია, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც ყველა დიქტატორი, არის ბუნებით ეჭვიანი ადამიანი, დაკომპლექსებული ადამიანი, რომელიც აფასებს კადრებს მხოლოდ ლოიალობის მიხედვით. ის ავადმყოფურად ეჭვიანია. ის ვერ იტანს ზომიერ ადამიანებს. მაგალითად, კახიშვილი, ან თუნდაც გახარია, რომელიც პრემიერად უნდა დაენიშნათ, რატომ არ დანიშნეს? იმიტომ, რომ ივანიშვილს ასეთი კადრები არ მოსწონს. თვლის, რომ საეჭვოა, რადგან ოპოზიცია არ აგინებს.

***— გამოდის, რომ წულუკიანს ოპოზიციაც დაეხმარა. ბოლო პერიოდია, მისი ლანძღვა-გინების მეტი არაფერი გიკეთებიათ.***

— სამწუხაროდ. მასაც მოსწონს წულუკიანი, ზარდიაშვილი, თალაკვაძე და ასეთი კადრები, რომლებიც არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებენ. დღეს მიმდინარეობს ამ რეჟიმის ლპობა. თუმცა ეს არ არის ჩემთვის საინტერესო, რადგან შეიძლება დალპეს და ქვეყანაც თან ჩაიყოლოს. მნიშვნელოვანია ის, ჩვენ მოვახერხებთ თუ არა ოპოზიციურ ფლანგზე ჯანმრთელი ალტერნატივის შექმნას.

***— რამდენად ჩანს ეს ამ ეტაპზე?***

— ამ ეტაპზე ეს არ ჩანს, მაგრამ ჩანს ამოცანა და ესეც გარკვეული მიღწევაა. ბოლო წლები ჩემთვის ადამიანური და პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე იყო. მე 6 წლის წინაც ზუსტად ამას ვსაუბრობდი ამ ხელისუფლებაზე, რასაც დღეს ვსაუბრობ, მაგრამ ჩვენი საზოგადოება მე ყოველთვის მამტყუნებდა. როცა ვამბობდი, რომ არაფორმალური და მაფიოზური მმართველობაა და ეს ქვეყანას დაღუპავს, ის ხალხი, რომელიც დღეს იგივეს იმეორებს, მაშინ მე მლანძღავდა და მეუბნებოდნენ, რომ ნაცებთან შეკრული და დაბოლმილი ვიყავი.

მაშინ ეს მოთხოვნაც არ იყო, რაზეც მე დღეს ვსაუბრობ. დღეს ეს გააცნობიერა მაინც საზოგადოებამ, რომ ბიძინა ივანიშვილი ყოფილა ჭაობი, რომ საჭიროა, ქვეყანაში შეიქმნას ახალი ალტერნატივა. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. რომ იტყვიან, ეს პროცესი ჩემს ზურგზე და ნერვებზე გადავიდა. თუმცა მოვახერხეთ და მეფე შიშველია. ახლა აუცილებელია, მოვძებნოთ გამოსავალი. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ამოცანასაც გადავწყვეტთ. თუმცა ეს არ იქნება ადვილი და ხანმოკლე გზა.

***— საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდად ჩაივლის და მერე დაიწყება ეს პროცესები?***

— საპრეზიდენტო არჩევნებსაც ექნება გენერალური რეპეტიციის ფუნქცია. სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოჩნდება, რომელი ოპოზიციური ძალები ვარგიან სამომავლოდ.

დღეს ალტერნატივა არც ერთი ოპოზიციური ძალა არ არის, თუმცა სწორედ ამ არჩევნებზე გამოჩნდება, ოპოზიციის რა ნაწილი უნდა ჩაბარდეს ჯართში და რა ნაწილი შეიძლება გამოდგეს როგორც კომპონენტი, ელემენტი, როგორც ინგრედიენტი სამომავლო ალტერნატივის ფორმირებაში.

## „წულუკიანმა იმდენი რამე იცის, ივანიშვილი მას ვერ შეელევა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბოდნენ.

ძალიან გული მწყდება, რომ ეკა ბესელია თინათინ ბოკუჩავას დაემსგავსა. ქართული ანდაზა გვეუბნება, ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. ბესელია და ბოკუჩავა 6 წელი არიან ერთად პარლამენტში და დაიმსგავსა თინათინმა ეკა.

***— მთელი ყურადღება ახლა მთავრობისკენ არის მიმართული. ერი, არასამთავრობოები და ოპოზიცია თეა წულუკიანის წინააღმდეგ გამოდიან. შეელევა ივანიშვილი მას?***

— 100%-ით შემიძლია გითხრათ, რომ თეა წულუკიანი დარჩება იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე. მას „ქართული ოცნება“ ვერაფრით შეელევა. ის ამ პარტიაში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. მან ყველაფერი იცის.

***— რა იცის ამისთანა?***

— ყველაფერი იცის, ამისთანაც და იმისთანაც.

***— „ოცნებაში“ ბევრზე ამბობენ, ყველაფერი იცისო, მათ შორის მირზა სუბელიანზეც.***

— სად სუბელიანი და სად წულუკიანი. ამ უკანასკნელმა ყველაფერი იცის. ამის გამო მას „ოცნება“ ვერ შეელევა. მას არც ივანიშვილი გაუშვებს.

***— რატომ არ გაუშვებს, აშინებს წულუკიანი?***

— ივანიშვილს წულუკიანის არ ეშინია. ისინი ძალიან დაახლოებული არიან. ყოფილი პრემიერი იუსტიციის მინისტრს ვერ შეელევა.

***— ივანიშვილთან ღარიბაშვილიც დაახლოებული იყო, მაგრამ „ოცნების“ მამა მას შეელია.***

— ღარიბაშვილი ივანიშვილთან მართლაც დაახლოებული იყო, მაგრამ ის თეას ვერც კი შეედრება. ეს ქალი „ოცნებაში“ ბიძინას მერე მთავარია.

***— კიდევ არის მთავრობაში ისეთი ხალხი, ვისაც ივანიშვილი ვერ შეელევა? სერგეენკოზეც ამბობენ, ყოფილი პრემიერი „კრიშავსო“.***

— სერგეენკოსაც არ შეელევა. ის დენად შეძლებს, ამას მომავალი გვაჩვენებს. ერთ რამეს ახლავე გეტყვით — ის ივანიშვილს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და მისი მორჩილი პრემიერი იქნება.

***— ამბობენ, რომ ყოფილი პრემიერის კადრებს მოასრიალებენ. მოსასრიალებელთა შორის სახელდება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორიც. მართლა წყალი შეუდგა შონიას?***

— რამდენად არის კვირიკაშვილის კადრი შონია, ვერ გეტყვით. ის ყველა პრემიერთან ახერხებდა საერთო ენის გამონახვას და არც ბახტაძესთან გაუჭირდება.

## „საპარლამენტო უმრავლესობას განსხვავებული აზრის გამოთქმას კანონით აუკრძალავენ“

შონიამ სამეგრელოში შექმნა კრიმინალური სინდიკატი. რომელიც კარგად შეერწყა ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს კრიმინალური ბანდა, როგორც ვატყობ, ცენტრალურ ხელისუფლებას აწყობს.

ახლა ამბობენ, რომ შონია თანამდებობას დატოვებს. რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, მან ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა, მოითხოვა, ჩემ ადგილზე დავით კოდუა დანიშნეთო.

***— დავით კოდუა ვინ არის?***

— ბობოლა ნაციონალი. ახლა შონიას მარჯვენა ხელი და მისი „კასირია“. ამ დავით კოდუას მამაც ნაციონალი ჰყავს. მიშას დროს ცულით დამდევდა, რატომ არ მოგწონს ნაციონალებიო.

***— სამეგრელოს რეგიონზე ვსაუბრობთ და ფაროსანამ მოსახლეობა აქ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. კარგა ხანია, ფაროსანაზე თქვენც აღარ აგიტეხიათ განგაში, მიასიკვდილეთ მავნებელი?***

— ფაროსანასთან ბრძოლა მიმდინარეობდა და ამ ბრძოლამ ხელისუფლება თავად აქცია ფაროსანად. ფაროსანა მოსავალს ანადგურებს, ესენი — ბიუჯეტს.

შარშანდელთან შედარებით, ფაროსანას რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ბოლომდე გამქრალი არ არის, მაგრამ უკეთესი მდგომარეობაა.

***— გამოდის, რომ შეიძლებოდა მავნებელთან ბრძოლა. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობდა, რომ ამას წლები დასჭირდებოდა.***

— არანაირი წლები ამას არ სჭირდებოდა, როცა ნამდვილი ბრძოლა გამოაცხადეს, შედეგიც მიიღეს, მაგრამ ამასობაში,

## „პარლამენტის სადავეები ხელში კომკავშირელებმა ჩაიგდეს“

წულუკიანივით საოცნებო სისტემის ფუძემდებელი არაა. ჯანდაცვის მინისტრი ყოფილი პრემიერის ოჯახთან არის დაახლოებული. თეა წულუკიანი ამ სისტემის ერთ-ერთი შემოქმედია და, როგორც მიშა ვერ ელეოდა მერაბიშვილს, ასე ბიძინა ვერ ელევა თეას.

***— სუბართან დაკავშირებით რა ხდება? მას რატომ ვერ ელევიან, მანაც ბევრი რამე იცის?***

— სუბარის ფენომენზე ვერაფერს გეტყვით. რაღაცები მანაც იცის, მაგრამ თეასთან შედარებით არაფერი არ იცის.

***— წულუკიანის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე ისე ხაზგასმით საუბრობთ, შემთხვევით ვახტანგ გომელაურსა და ანზორ ჩუბინიძეზე მეტი ხომ არ იცის?***

— ამათ ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვთ, მაგრამ თეა განსაკუთრებულ ინფორმაციებს ფლობს.

***— საპარლამენტო უმრავლესობაში წულუკიანი ძალიან ბევრს არ მოსწონს. მინისტრად მისი დატოვება გუნდში უკმაყოფილებას ან დაპირისპირებას ხომ არ გამოიწვევს?***

— სად არის გუნდი? ვინ გაბედავს ხმის ამოღებას? შეიძლება, ვიღაცამ წამოიკნავლოს. წინააღმდეგობა არ იქნება, ამას ივანიშვილს ვერ გაუბედავენ.

***— ახალ პრემიერზე რას ფიქრობთ, გაქაჩავს მამუკა ბახტაძე თუ მისი სახით კვირიკაშვილი 2-ს მივიღებთ?***

— მეეჭვება, ბახტაძემ გაქაჩოს. უკვე შეურაცხმყოფელია „ოცნების“ ლიდერისგან პრემიერების ასე ხშირი ცვლა. მოიყვანს რაღაც ვადით ადამიანს ამ პოსტზე და შემდეგ პოლიტიკურ მოუსავლეთში უშვებს.

მინდა მჯეროდეს, რომ მამუკა ბახტაძე თავს გაართმევს პრემიერობას. რამროგორც უკვე გითხარით, „ოცნება“ თავადაც ფაროსანად გადაიქცა.

***— წინა ხელისუფლების დროს თქვენ ძალიან აქტიურობდით. ახლა რატომღაც აღარ აქტიურობთ და რა ხდება?***

— მე არ ვაქტიურობ? საკითხი არ დამიტოვებია, რომ სოციალურ ქსელში არ გამოვეხმაურო. ჩემს გაჩერებას ვერ ეღირსებიან.

***— სოციალურ ქსელში ძალიან აქტიური ხართ, „ოცნებამ“ პოლიტიკური ლექსების წერაც კი დაგაწყებინათ, მაგრამ აქციებს აღარ მართავთ.***

— აქციები რომ გამართო, ამისთვის საზოგადოებაში სათანადო განწყობა უნდა იყოს. დღეს ხალხში ასეთი განწყობა აღარ არის.

***— ამდენმა უსამართლობამ რით ვერ გააჩინა სათანადო განწყობა?***

— ხალხი ინდიფერენტული გახდა, ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. ეს გასაგებიცაა, 2012 წელს ნაცების დასრულებას დაუჭირეს მხარი და ხელისუფლების სათავეში პორტირებული ნაცები მიიღეს. არ გამიკვირდება, პრეზიდენტობის კანდიდატადაც ყოფილი ნაციონალი დაასახელონ.

***— პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებით ბევრი ვერსია არსებობს. თქვენი აზრით, ვის დაასახელებენ მეოცნებეები?***

— მეოცნებეები არ დაასახელებენ, კანდიდატურას ბიძინა ივანიშვილი შეარჩევს. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ბიძინა პრეზიდენტად ხეს დაასახელებს.

***— რა ხეს?***

— რა ხეებიც აქვს, დენდროლოგიურ პარკში უამრავი ხე გადაათრია და ერთი ხე პრეზიდენტის სასახლეშიც შეათრიოს. მერწმუნეთ, „ოცნება“ არც ამაში შეეწინააღმდეგება ლიდერს.

# საქართველოს ნატოში მაპის გარეშე იღებენ?

## რატომ ახსენებს ნატოსა და თბილისს ნეიტრალური მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრი

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" წერს, რომ ნატოს სამიტის ფარგლებში 11-12 ივლისს დაგეგმილი ოთხი უმაღლესი დონის შეხვედრიდან საქართველო ორში მიიღებს მონაწილეობას. ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები შეხვდებიან საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებს. შეხვედრის მონაწილეები საქართველო-რუსეთის კონფლიქტზეც იმსჯელებენ.**

საქართველოს პრეზიდენტი ასევე ჩაერთვება უმაღლესი დონის შეხვედრაში ავღანეთის საკითხზე.

სამიტის მოახლოების ფონზე უცხოური მედია ამახვილებს ყურადღებას საქართველოს ნატოში მიღების შესაძლო დაჩქარების თაობაზე.

არაოფიციალური ცნობებით, ალიანსის შიგნით მიმდინარეობს დისკუსია იმაზე, რომ საქართველო გაწევრიანდეს ორგანიზაციაში მაპის გარეშე. ამისთვის გამოსადეგია ნატოსთან ურთიერთობის ყოველწლიური პროგრამა და ზომების პაკეტი.

რამდენიმე დღის წინ ნატოს მიმართა უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ. მან მოუწოდა ალიანსს, მიიღოს უკრაინა, რომელიც რეგიონული და მსოფლიო უსაფრთხოებისათვის ნატოს წევრებზე მეტს აკეთებს.

მოსაზრებები ნატოში მოსალოდნელზე უფრო ადრე შესვლის შესახებ უკრაინაზეც გამოითქმის.

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამისთვის აუცილებელია უკრაინის ტერიტორიაზე აშშ-ის საჰაერო თავდაცვის ძალების განთავსება.

ნატოსთან დაახლოების აუცილებლობაზე განცხადებას აკეთებს ნეიტრალური მოლდოვას საგარეო მინისტრი ტუდორ ულიანოვსკი. მისი თქმით, ეს აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ამავე მიზნით მოლდოვა აძლიერებს თანამშრომლობას ევროკავშირთან და აშშ-სთან.

მოლდოვას მთავრობის წევრი საქართველოსაც ახსენებს:

– რეგიონული თვალსაზრისით აშკარაა კიშინიოვი-კიევი-თბილისი-ბრიუსელის კონსოლიდირება. ამას მნიშვნელობა აქვს რუსეთის მადესტაბილიზებელი მოქმედებებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში.

ნატოში გაწევრიანების რეალური შანსი მაკედონიას აქვს. ბალკანეთის ამ ქვეყანას ორგანიზაციაში შესასვლელად ხელს უშლიდა მისი სახელწოდება და დავა საბერძნეთთან, რომელსაც ამავე სახელწოდების ოლქი აქვს.

დღეს სკოპიესა და ათენს შორის შეთანხმება მიღწეულია. გადაწყდა, რომ ამ სახელმწიფოს ჩრდილოეთი მაკედონია დაერქმევა.

მაკედონიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ნიკოლა დიმიტროვი იმედოვნებს, რომ ათენთან მიღწეული შეთანხმება განხორციელდება, ნატოს სამიტი კი მიიღებს გადაწყვეტილებას ამ სახელმწიფოს ნატოში შესვლაზე მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.

რუსეთის გასაგონად იგი აღნიშნავს, რომ ეს ნაბიჯი არ შექმნის საფრთხეს სხვა სახელმწიფოებისთვის.

დასავლელ ანალიტიკოსებს აფიქრებთ ალიანსის ერთიანობის თემა.

ფრანგული პრესის შეფასებით, დასავლური ერთიანობა დაირღვა დიდი შვიდიანის ბოლო სამიტზე.

მოსალოდნელია, რომ ამ ერთობას აშშ-ის პრეზიდენტი ბრიუსელში უფრო დაასუსტებს. ტრამპმა ამისთვის წინაპირობა უკვე შექმნა იმით, რომ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს სამიტის წინ ისევ წაუყენა თავდაცვის სფეროს არასაკმარისად დაფინანსების პრეტენზია.




ევროპელი მიმომხილველები აცხადებენ, რომ თეთრი სახლის მეთაურის მივლინება ევროპაში მარშრუტით ბრიუსელი-ლონდონი-ჰელსინკი შთამბეჭდავი და სარისკო იქნება.

# საქართველო ჰაერის დაბინძურებით არა პირველ, არამედ 70-ე ადგილზეა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) საკუთარი შეცდომა გამოასწორა – თუ ორგანიზაციის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშს დავუჯერებდით, საქართველოს ჰაერი იმდენად მომაკვდინებელი იყო, რომ მთელი პლანეტის მასშტაბით ყველაზე მეტ დაავადებასა და სიკვდილიანობას იწვევდა. ორგანიზაციის წინა შეფასებით, 100,000 კაცზე გაანგარიშების შემთხვევაში, ქართული ჰაერი ყოველწლიურად 292 ადამიანს კლავდა, რაც გლობალურ საშუალოს რამდენჯერმე აღემატებოდა. ეს მონაცემები აშკარად მცდარი იყო, რადგანაც ქვეყანაში, სადაც არც წარმოება და არც ქიმიური ინდუსტრია არ არის განვითარებული თითქმის შეუძლებელია ჰაერის დაბინძურებამ ასეთ მასშტაბებს მიაღწიოს. 2018 წლის განახლებული ანგარიშით კი ორგანიზაციამ მეთოდოლოგიური შეცდომა გამოასწორა, რის შედეგადაც საქართველომ ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობით 1-დან 70-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ჰაერის ხარისხს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. თუმცა, როდესაც ჰაერზე მიმდინარეობს საუბარი, უმეტესობა, როგორც წესი ფიქრობს რომ საუბარი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ იმ ჰაერს რომელიც გარეთ – ქუჩებში, ქალაქებში, სკვერებსა თუ ტყეებშია. სინამდვილეში კი ჰაერის ხარისხზე საუბრისას შენობების შიგნით არსებული ჰაერის ხარისხიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც გარეთ არსებულის. შესაბამისად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია სტატისტიკის შექმნის დროს იყენებს ინფორმაციას, რომელიც შენობის შიდა ჰაერის ხარისხს შეეხება. ეს არ ნიშნავს, რომWHO-ს ექსპერტები კარდაკარ დადიან და სხვადასხვა ოთახში ჰაერის ხარისხს ზომავენ. ისინი ამ სტატისტიკის მომზადების დროს ეყრდნობიან უკვე არსებულ სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს. მაგალითად, დადგენილია რომ სათბობი მიზნებისთვის მყარი საწვავის (შეშის) გამოყენება შენობის შიდა ჰაერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბინძურებელია. საქართველოში კი გაზიფიცირების არასრული დაფარვის გამო რეგიონების მოსახლეობა სათბობად და საკვების მოსამზადებლად შეშას იყენებს.

თუმცა,WHO-მ 2016 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, დაუშვა შეცდომა, როდესაც მიუთითა, რომ საქართველოში სუფთა საწვავზე ხელმისაწვდომობა 55% იყო, ხოლო მოსახლეობის 45% კი გასათბობად ბინძურ საწვავს (შეშას) იყენებდა. WHO-მ იხელმძღვანელა 2005 წელს მომზადებული ანგარიშით, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს შეშაზე დამოკიდებულებას ასახავდა. 2005 წელს არსებული მონაცემები კი დღეს სრულიად არარელევანტურია, რადგანაც ქვეყანამ გასული 12 წლის განმავლობაში გაზიფიცირებისთვის მილიონობით ლარი დახარჯა.

2018 წლის ანგარიშში WHO-მ იხელმძღვანელა მყარი საწვავის მოხმარების განახლებული მონაცემებით, რომლის მიხედვითაც, საქართველოში სუფთა საწვავზე ხელმისაწვდომობა 78%-ია. ანუ მოსახლეობის 22% იყენებს შეშას. შესაბამისად, კვლევაში განახლებული სტატისტიკის გამოყენებამ საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გააუმჯობესა.

გარე ჰაერის ხარისხის შეფასება ჰაერის ზოგადი ხარისხის შეფასებისთვის მეორე მნიშვნელოვანი ინდიკატორია.WHO გარემოს ჰაერის შეფასების დროს მთავარ ყურადღებას ამახვილებს ჰაერში მიკრონაწილაკების შემცველობაზე. მილიმეტრის მეათიათასედის ზომის მტვრის ნაწილაკების მაღალ კონცენტრაციას სასუნთქი სისტემის დაავადებათა პროვოცირება შეუძლია.



2016 წლის კვლევის მონაცემებით, ქართული ჰაერი მეტრ კუბზე 23.3 მიკროგრამ მტვრის ნაწილაკებს შეიცავდა, რითიც მსოფლიოში 86-ე ადგილზე იყო. მაგალითად, პოლონეთის ჰაერში ამაზე მეტი – 25 მიკროგრამი მტვრის ნაწილაკები, ხოლო თურქეთის ჰაერში კი 35 მიკროგრამი მტვრის ნაწილაკები იყო. ანუ ძირითადი დამაბინძურებლის პარამეტრის მიხედვით, ქართული ჰაერი თურქულსა და პოლონურზე სუფთა იყო. საქართველოს ჰაერი ასევე აზერბაიჯანის, ბულგარეთის, სამხრეთ კორეის, ჩილეს, სომხეთის და სხვა ქვეყნების ჰაერზე სუფთა იყო.

2018 წლის ანგარიშის მიხედვით კი საქართველოს ჰაერი მეტრ კუბზე 24 მიკროგრამ მტვრის ნაწილაკებს შეიცავს, მართალია, ეს წინა ინდექსთან შედარებით გაუარესებას წარმოადგენს, მაგრამ სხვა ქვეყნებთან შედარებისას ის ისევე 86-ე ადგილზე იმყოფება. კვლევის მიხედვით, საქართველოზე ბინძური ჰაერი აქვთ სომხეთს – 32.9 მიკროგრამი, თურქეთს – 41 მიკროგრამი, სამხრეთ კორეას – 24.7 და სხვა ქვეყნებს.

მეტიც, ერთ მოსახლეზე გაანგარიშების შემთხვევაში მარტივად დავინახავთ რომ საქართველო პლანეტას სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად ნაკლებად აბინძურებს. ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად ქვეყნების მიერ გაფრქვეული $CO_2$ განიხილება. საბჭოთა კავშირის ჩამოშლასთან ერთად საქართველოს ქარხნების საკვამურებიდან ბოლის ამოსვლა შეწყდა, შედეგად საქართველოს მიერ გაფრქვეულმა სათბურის გაზებმაც იკლო. წარმოდგენილი სტატისტიკა აჩვენებს, თუ რამდენად ნაკლებ$CO_2$-ს გამოყოფს საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით:

თუ ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლით საქართველო პირველ ადგილზე არ იყო, მაშინ ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობით რატომ ეწერა საქართველო პირველ ადგილზე?

საქართველოში გასულ წელს დაახლოებით 50 ათასი ადამიანი გარდაიცვალა. ამ ადამიანთა გარდაცვალების ზუსტი მიზეზების დადგენა საკმაოდ კომპლექსურია. მაგალითად, მათ შემთხვევაში, ვინც სხვადასხვა ტიპის ტრავმებმა, ან ინფექციებმა იმსხვერპლეს, მარტივია გარდაცვალების გამომწვევი მიზეზების გამოკვეთა. მაგრამ მათ შემთხვევაში, ვინც მაგალითად კარდიოვასკულარულმა დაავადებებმა ან სასუნთქი სისტემის არაგადამდებმა დაავადებებმა იმსხვერპლა, სიკვდილის კონკრეტული მიზეზის მითითება რთულდება. ასეთი დაავადებების შემთხვევაში საუბარი შეიძლება არა ერთ, არამედ რამდენიმე რისკფაქტორზე, რომელსაც შეიძლება ხელი შეეწყო დაავადების განვითარებისთვის, მაგრამ მისი ზუსტად გამოკვეთა ან რომელიმე რისკზე პირდაპირი მითითება რთულია. მაგალითად, კარდიოვასკულარული სისტემის დაავადებების რისკ ფაქტორებია – ქოლესტერინის მაღალი შემცველობა, მაღალი წნევა, დიაბეტი, თამბაქოს მოხმარება, ჭარბწონიანობა, სტრესი, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, აქტივობის დაბალი დონე, ასევე რისკს ფაქტორს წარმოადგენს ჰაერის დაბინძურებაც.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის გაანგარიშების დროს იყენებდა იმ დაავადებების კლასების სრულ გარდაცვალებათა რაოდენობებს, რომელთა რისკფაქტორიც ჰაერის დაბინძურებაა. უფრო კონკრეტულად კი საუბარია ცერებროვასკულარულ, გულის იშემიურ, ობსტრუქციულ პულმონარულ და ფილტვის სიმსივნეებზე. WHO-ს მეთოდოლოგიაშიც ნათქვამია, რომ, მართალია, გარკვეული კავშირი ჰაერის დაბინძურებასა და ამ დაავადებებს შორის არსებობს, მაგრამ ჰაერის დაბინძურებაზე როგორც ზუსტ მიზეზზე საუბარი რთულია. 2018 წლის მდგომარეობით კი მეთოდოლოგია დაზუსტდა.

2016 წელს საქართველოში რეგისტრირებული სიკვდილიანობის ოფიციალური მიზეზების ჩამონათვალია. გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზებს შორის ჭარბობს, ის დაავადებები, რომლებიც ჰაერის დაბინძურების ინდექსის შედგენისას გამოიყენება, თუმცა გადაჭრით იმის თქმა, რომ აღნიშნული სიკვდილიანობა ჰაერმა გამოიწვია, რთულია.

2016 წლის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში გარდაცვალების წამყვანი მიზეზები ასე ნაწილდება:

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები – 17.973 ადამიანი

სიმსივნეები – 6.819 ადამიანი

სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები – 2.480 ადამიანი

ტრავმები, მოწამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგი – 1.627

საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები – 1.571 ადამიანი

ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები – 763 ადამიანი

შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები – 616 ადამიანი

ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობა – 554 ადამიანი

ნერვული სისტემის ავადმყოფობები – 474 ადამიანი

სისხლმბადი ორგანოების ავადმყოფობები – 354 ადამიანი

პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობა – 363 ადამიანი

ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები – 100 ადამიანი

თანდაყოლილი ანომალიები – 95 ადამიანი

კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები – 58 ადამიანი

ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის ავადმყოფობები – 52 ადამიანი

ორსულობა, მშობიარობა – 14 ადამიანი

თვალის ავადმყოფობები – 12 ადამიანი

ყურის დაავადებები – 5 ადამიანი

სხვა დაავადებები/მიზეზები, რომლებიც ამ სიაში არ არიან – 16 841 ადამიანი.

**კომერსანტი**

# საქართველოს მიწებით ყველაზე მეტად რუსეთის მოქალაქეები ინტერესდებიან

რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ახმეტ მალსაგოვი ერთ-ერთი მათგანია, ვინც სახელმწიფოსგან უპირობო აუქციონში გაიმარჯვა და თბილისის ტერიტორიაზე, სოფელ ტაბახმელაში მდებარე 9.275 კვ.მ. არასასოფლო მიწის ნაკვეთი 808 000 ლარად იყიდა. როგორც ირკვევა მის მსგავსად, კიდევ ათასობით რუსეთის მოქალაქე ინტერესდება ადგილობრივი უძრავი მიწებით.



ბოლო პერიოდში რუსეთის მოქალაქეები საქართველოს ტერიტორიაზე აქტიურად ირეგისტრირებენ უძრავ ქონებას. მეტიც, შესყიდული მიწებით საქართველოში სწორედ რუსეთი ლიდერობს. მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვა კონსტიტუციით აეკრძალათ, ეს შეზღუდვა არასასოფლო-სამეურნეო მიწებზე არ ვრცელდება. ამიტომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც არჩევანს სწორედ ამ მიმართულებით აკეთებენ.

რატომ ინტერესდებიან რუსეთის მოქალაქეები ასე ინტენსიურად საქართველოს მიწებით, პასუხის გაცემა რთულია. მანამდე კი მათ შესახებ ყველა არსებულ ინფორმაციას გაგაცნობთ.

კერძოდ, მიგრაციის სამთავრობო კომისიის ანგარიშის მიხედვით რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში საკუთრებაში სულ 18.041 უძრავი ქონება დაირეგისტრირეს (მათ შორის 7.835 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, 2.364 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და 7.842 ბინა/სახლი). ამ ციფრებით კი ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რეიტინგში პირველია.

რუსეთის შემდეგ მოდის უკრაინა, სომხეთი და აზერბაიჯანი.

რაც შეეხება წინა წლებს, 2012-2016 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული 34.024 უძრავი ქონება დაფიქსირდა. მათ შორის ნახევარზე მეტი, ანუ 53-ით ყველა ქვეყანას უსწრებენ რუსეთის მოქალაქეები.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებს შორის, რომლებიც საქართველოში უძრავ ქონებაში ინვესტიციებს ახორციელებენ, შესაძლოა იყვნენ საქართველოს ყოფილი მოქალაქეებიც, რომლებმაც თავის დროზე დატოვეს საქართველო და სხვა ქვეყნებში გადავიდნენ საცხოვრებლად, ახლა კი სურვილი აქვთ, უძრავ ქონებაში ინვესტირების მეშვეობით შეინარჩუნონ საქართველოსთან კავშირები. იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ისა და ისრაელის მოქალაქეთა შესახებაც.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, რასაც ანგარიშში გაეცნობით, ეს არაბული ქვეყნების შესახებ ინფორმაციაა. როგორც ირკვევა, 2012-2016 წლებში თურქეთის, ირანისა და ერაყის მოქალაქეებმა საკუთრებაში ყველაზე ნაკლები – ჯამში 2067 უძრავი ქონება დაირეგისტრირეს.

**კომერსანტი**

# რომან კაკულია: „როდესაც სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში ფასია განმსაზღვრელი, იქ ხარისხი იკარგება“



– შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში გაგვაცნო და განვიხილეთ ის საკითხები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისა და საჯარო მმართველობის განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. ბევრი პრეტენზია გამოითქმის იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში ფასია განმსაზღვრელი, იქ ხარისხი იკარგება. ჩვენ გვინდოდა მკაფიო პასუხი მიგვეღო, თუ როგორია სამსახურის ხედვა ამასთან დაკავშირებით, არის თუ არა გარკვეულწილად საკანონმდებლო ხარვეზები, რომელშიც შეიძლება დავეხმაროთ. ამასთან დაკავშირებით ძალიან მკაფიო, კონკრეტული გეგმები დავსახეთ, – აცხადებს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში დეპუტატებს სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ და მისმა მოადგილემ კახა დემეტრაშვილმა წარუდგინეს.

მომხსენებელთა თქმით, სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ეკონომიკის და საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფო შესყიდვების გზით ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ის ოდენობით თანხა იხარჯება, ამიტომ, სააგენტო მუდმივად ცდილობს ქმედითი ნაბიჯები გადადგას, რათა რაციონალურად განხორციელდეს საჯარო ფინანსების რესურსების განაწილება. პროცესი იყოს გამჭვირვალე და კორუფციული რისკები მინიმიზებული.

სააგენტოს ხელმძღვანელობის თქმით, მათი მხრიდან განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების, ასევე ბიზნეპროცესების სრულყოფისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან მიახლოების მიზნით.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ მხარეებმა იმსჯელეს იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ბოლო ხანს გამოიკვეთა. შეხვედრაზე ითქვა, რომ სახელმწიფო შესყიდვების თემა ძალიან აქტიურია ჩვენი მთავრობის პრიორიტეტულ პროექტებში, მაგალითად ინფრასტრუქტურულ და სხვა პროექტების განხორციელებაში. აღინიშნა ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვების მომენტში ძალიან ხშირად დგას ხარისხისა და ფასის ურთიერთშეფარდების პრობლემა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ასევე ე.წ შავ სიაში მოხვედრილ სუბიექტებთან დაკავშირებით, რომლებიც სათანადოდ ვერ ახორციელებენ გადახდებს. ითქვა, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს პრობლემა, სანამ სასამართლო დავა მიმდინარეობს, ე.წ შავ სიაში მოხვედრილ სუბიექტს არ ეკრძალება საქმიანობის უფლება, ამ შემთხვევაში რა შედეგი დადგება ამაზე სააგენტო პასუხისმგებლობას ვერ იღებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამასთან დაკავშირებით სამუშაო ფორმატში კიდევ გაგრძელდება მსჯელობა.

ამის გარდა განიხილეს მიმდინარე გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებული თემებიც, რომელიც ასევე აქტუალურია დღეს მეწარმეობისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარების ტენდენციებში.

**კომერსანტი**

# OPIC-ის დაფინანსებულ პროექტს თბილისის მერია პრობლემებს უქმნის



ლილოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის განმახორციელებელ კომპანიაKDVGeorgia-ს თბილისის მერიის გამო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტ OPIC-თან შესაძლოა პრობლემები შეექმნას. ამის შესახებ „კომერსანტს“ KDVGeorgia-ს ხელმძღვანელმა ვაჟა სამადბეგიშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, თბილისის მერიაში პროექტი რამდენიმე თვე გაჩერებულია. სამადბეგიშვილი აცხადებს, რომ თბილისის მერია პროექტის კორექტირებას ითხოვს, თუმცა, როგორც და რანაირად, ამაზე პასუხს კომპანია რამდენიმე თვეა უშედეგოდ ელოდება.

– უარის საფუძველი არ აქვთ. ხელშეკრულება ხელმოწერილია და შენიშვნაა, რომ რაღაც გავითვალისწინოთ. სამწუხაროდ, არ გვათვალისწინებინებენ, გაგზავნილ წერილებზე პასუხს უკვე თვეებია ველოდებით ხელშეკრულების ფუნქციონირებას გვიჩერებენ, – აცხადებს სამადბეგიშვილი.

მისივე განცხადებით, პროექტის განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ნებართვა არსებობს, ამ ეტაპზე შეჩერებულია.

რატომ ფერხდება ლილოში მრავალმილიონიანი პროექტის განხორციელება, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში და კომპანია „თბილსერვის ჯგუფში“ ცადა. არქიტექტურის სამსახურში აცხადებენ, რომ მათთან KDVGeorgia-სგან წერილი შესული არ არის. რაც შეეხება „თბილსერვის ჯგუფს“, დირექტორი ლევან ჯღარკავა აცხადებს, რომ პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს სეპარირების მოთხოვნა, რომელიც ევროკავშირის ვალდებულებაა. ჯღარკავა აცხადებს, რომ შეთანხმება, სავარაუდოდ, ამ პუნქტთან დაკავშირებით ვერ მოხდა. თუმცა, უფრო სრულყოფილ და საბოლოო პასუხს ის „კომერსანტს“ მომავალ კვირაში გასცემს.

შეგახსენებთ,KDVGeorgia-ს ხელმძღვანელი გასული წლის ბოლოს განმარტავდა, რომ მშენებლობის დაწყებიდან 9 თვეში დაგეგმილი იყო ქარხნის სატესტო რეჟიმში გაშვება, 2 თვის შემდეგ კი ქარხანა სრული წარმადობით გააგრძელებდა მუშაობას.

ქარხნის მშენებლობა ლილოში 50 ჰექტარზე იგეგმება. ნაგავგადამამუშავებელი ქარხანა დღეში 1.000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენს გადაამუშავებს.

სამადბეგიშვილის განცხადებით, ინვესტიციის დაფარვის პერიოდი 4.5 წელია. რაც შეეხება გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქტს, სამადბეგიშვილი ამბობს, რომ ყველა ორგანული ნარჩენი გადამუშავების შემდეგ გარდაიქმნება დიზელად და ბიტუმად, რომლის ექსპორტზე გაყიდვითაც კომპანია მოგების მიღებას ელოდება. დაგეგმილია, წელიწადში 72.000 ტონა დიზელის წარმოება და მისი ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე გატანა.

2016 წლის აპრილში KDVGeorgia-მ მერიის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში გაიმარჯვა. შედეგად, მათ დროებით სარგებლობაში, 25 წლის ვადით გადაეცათ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთი. პროექტის განხორციელებით 13 კომპანია იყო დაინტერესებული.

**კომერსანტი**

# ყოფილი „ლეო გრანდის“ შენობის ექსპლუატაციის შეჩერებას ითხოვენ

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სასტუმრო და სამორინე „ველმონდის“ (ყოფილი „ლეო გრანდი“) შენობის ექსპლუატაციის შეჩერებას მოითხოვს.

ამის შესახებ სამსახურის სპეციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

– საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტებმა, 2018 წელს სასტუმროსა და სამორინეში სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, სამჯერ განახორციელეს (დეტალური, საკონტროლო და მიზნობრივი) სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. გაიცა 43 რეკომენდაცია, რომელთა უმეტესობა არ შესრულებულა.

სპეციალისტების დასკვნით, შენობაში არ არის დამონტაჟებული კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, რაც ხანძრის შემთხვევაში, შენობაში მყოფ ადამიანებს არ უტოვებს უსაფრთხო ადგილას ევაკუაციისა და გადარჩენის შესაძლებლობას. გასული წლის ხანძრის შეფასების შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანთა დაღუპვის ძირითადი მიზეზი, სწორედ კვამლსაწინააღმდეგო სისტემების არარსებობა გახდა.

კვლავ ვერ ხერხდება სამშენებლო კონსტრუქციების ცეცხლმედეგობისადმი დადგენილი ნორმების რეალიზება, რაც ხანძრის შემთხვევაში ცეცხლის სწრაფად გავრცელების საშიშროებას ქმნის. შენობაში არ შექმნილა საევაკუაციო გზებისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურა და გაურკვეველია, როდის დამონტაჟდება სართულების დამაკავშირებელი გარე საევაკუაციო კიბე.

ეს დარღვევების მცირედი ჩამონათვალია, რომლის გამოსწორებისთვის სასტუმროს ადმინისტრაციას არაერთხელ მიეცა გონივრული ვადა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე, დაუშვებლად მიიჩნევდა სასტუმრო და სამორინე „ველმონდის“ შენობის ექსპლუატაციაში შესვლას. თუმცა, სასტუმროს ადმინისტრაციამ, მიმდინარე წლის 17 მაისს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნისა და 2017 წლის 24 ნოემბერს სასტუმროში მომხდარი ხანძრის შედეგების სრული იგნორირებით, განაახლა შენობის ექსპლუატაცია.

სასტუმროს ადმინისტრაციამ სამჯერ შემოწმებისა და დაჯარიმების მიუხედავად, დღემდე ვერ წარმოადგინა კონკრეტული გეგმა, როგორ აპირებს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას შენობაში.

სასტუმროსა და სამორინეში სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არსებული საგანგაშო მდგომარეობა, უმნიშვნელო ხანძრის შემთხვევაშიც კი, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ადამიანების სიცოცხლეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა მიმართა სასამართლოს, რათა განჩინების საფუძველზე, სასტუმრო და სამორინე „ველმონდის“ შენობას შეუჩერდეს ექსპლუატაცია, რათა დაცული იყოს მოქალაქეების უსაფრთხოება, – აღნიშნულია განცხადებაში.

**კომერსანტი**

# ლიბერთი ბანკი პენსიონერებისთვის ახალ პროგრამას იწყებს

„ლიბერთისა“ და „ნიუ ჰოსპიტალსს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის თანახმადაც, პენსიის მიმღები მომხმარებლები სამედიცინო სერვისებს სპეციალურად მათთვის შემუშავებული პირობებით მიიღებენ.

განსაკუთრებული პირობებით ლიბერთის სოციალური ბარათის მფლობელები 2018 წლის ბოლომდე ისარგებლებენ და 30%-იანი ფასდაკლებით შეძლებენ ჩაიტარონ კვლევები გულის დაავადებების, შინაგანი ორგანოების, სახსრებისა და სხვა მიმართულებებით.

მომსახურების მისაღებად აუცილებელია წინასწარ ჩაწერა სატელეფონო ცენტრის საშუალებით ტელეფონის ნომერზე 219 01 90. დაჯავშნილი ვიზიტისას აუცილებელია ლიბერთის სოციალური ბარათისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ადგილზე წარდგენა. ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია თითოეული პაკეტის სრულად შეძენის შემთხვევაში.

– დღეიდან ამ უპრეცედენტო, ერთობლივი პროგრამით სარგებლობა მხოლოდ ლიბერთი ბანკის სოციალური ბარათის მფლობელებს შეუძლიათ. „ნიუ ჰოსპიტალსი“ პაციენტებს სამედიცინო მომსახურებას მარტივი პირობებით, წინასწარი ჩაწერის საფუძველზე სთავაზობს. პროგრამა 2018 წლის ბოლომდე გაგრძელდება და წლის განმავლობაში „ნიუ ჰოსპიტალსის“ სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებენ როგორც თბილისის, ისე რეგიონების მცხოვრებლები, – განაცხადა ნიუ ჰოსპიტალის დირექტორმა გიორგი რამიშვილმა.

– სოციალური პასუხისმგებლობის ახალი პროგრამის ფარგლებში აქტიურად ვაგრძელებთ პროექტების შემუშავებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მოხარული ვართ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა გვეზრუნა ჩვენი მომხმარებლების ამ სეგმენტზე და აუცილებელი სამედიცინო კვლევები სპეციალურად მათთვის შემუშავებული პირობებით შეგვეთავაზებინა, – განაცხადა „ლიბერთის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ლევან თხელიძემ.



# პროკურორი: „მარგოშვილი ჩატაევთან შეხვედრის შემდეგ სირიიდან კონკრეტული დავალებით დაბრუნდა“

ტერორიზმის ბრალდებით დაკავებულმა რამაზ მარგოშვილმა სასამართლოს წინაშე თქვა, რომ ჩატაევს იცნობდა და მასთან სირიაში 2015 წელს იმყოფებოდა.

მეტიც, ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ჩატაევის თხოვნით მას ფინანსური პრობლემების მოგვარებაშიც ეხმარებოდა, თუმცა ჩატაევის საქართველოში შემოსვლასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

– რამაზ მარგოშვილმა აღიარა ჩატაევთან კავშირი და ის, რომ ახმედ ჩატაევს ის პირადი ვალების ამოღებაში ეხმარებოდა, – განაცხადა პროკურორმა ნანა ხუნჯუამ.

პროკურორის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ჩვენებით მას ბრალი არ ულიარებია, გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება მაინც მოუწია.

– რამაზ მარგოშვილმა დაარღვია დუმილი და მისცა სასამართლოს ჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ მარგოშვილი საკუთარი ჩვენებით ბრალდებას არ აღიარებს, ჩვენს მიერ წარდგენილი მტკიცებულებები იმდენად მყარი იყო, რომ მას მაინც მოუწია გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება. კერძოდ, მან დაადასტურა, რომ კარგად იცნობდა ახმედ ჩატაევს, ასევე დაადასტურა, რომ სირიაში იმყოფებოდა ახმედ ჩატაევთან, საიდანაც დაბრუნდა კონკრეტული დავალებებით, რომელიც მისცა ჩატაევმა, ეხმარებოდა მას პირადი ვალების ამოღებაში და ა.შ., – განაცხადა ნანა ხუნჯუამ.

პროკურორის ინფორმაციით, ბრალდებული ასევე შეეცადა ბრალდების ერთ-ერთი მოწმის დისკრედიტაციას.

– შავლახ ქავთარაშვილთან დაკავშირებით რამაზ მარგოშვილმა ცადა აღნიშნული პირის დისკრედიტაცია, იქიდან გამომდინარე, რომ ამ მოწმემ ბრალდებულის მამხილებელი ჩვენება მისცა სასამართლოს. მარგოშვილმა კონკრეტული არგუმენტების და დასაბუთების გარეშე განაცხადა, რომ ქავთარაშვილი გეგმავდა კონკრეტული დანაშაულების ჩადენას. მან ასევე დაადასტურა ნაცნობობა ბრალდებულ შოაიფ ბორზიევთან და სპეცოპერაციისას ლიკვიდირებულ პირებთან, ასლანბეგ სოლტ ახმედოვთან და იბრაჰიმ ადაშევთან და ეს ხალხი მასთან სტუმრად იმყოფებოდა პანკისში რამდენიმეჯერ, – განაცხადა ნანა ხუნჯუამ.



სუს-მა ანატიტერორისტული ოპერაცია ბერი გაბრიელ სალოსისა და პანკისის ხეობაში 2017 წლის 21-22 ნოემბერსა და 26 დეკემბერს ჩაატარა. ჩატარებული ოპერაციის შედეგად გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ლიკვიდირებულ იქნა ახმედ ჩატაევის დაჯგუფების ორი წევრი, თავად ჩატაევმა კი თავი აიფეთქა. სპეცოპერაციის ჩატარებამდე სამართალდამცველებმა დაჯგუფების ერთი წევრი შოაიფ ბორზიევი დააკავეს. მას ბრალად ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა ედება.

რაც შეეხება პანკისის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას, სუს-ის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა ტერორიზმში ბრალდებულთა ჯგუფთან კავშირზე მყოფი სხვა პირები: რუსლან ალდამოვი, ბადურ ჩოფანაშვილი, რამაზ მარგოშვილი და ზურაბ გორნაკაშვილი დააკავა. კიდევ ორი პირი ანატოლი ბერძენიშვილი და ზურაბ იდოიძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოგვიანებით დააკავა. ყველა მათგანს გამოძიება ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერასა და რესურსებით უზრუნველყოფას ედავება.

## 140 ნომერ ავტობუსში 17 წლის ბიჭი დაჭრეს

გუშინ, 10 ივლისს, თბილისში 17 წლის ბიჭი დაჭრეს. ინციდენტი 140 ნომერ ავტობუსში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მოხდა.

– დამირეკეს სახლში, თქვენი შვილიშვილი ცუდად გახდაო და სასწრაფოდ მოდითო, წამომიყვანეს, მოვედით და ასეთი მდგომარეობა დამხვდა, არაფერი არ ვიცი, რა მოხდა და სად მოხდა, ბავშვი დავტოვე, 15 წუთით ვიყავი გასული და არ ვიცი, რა მოხდა, – განაცხადა მოზარდის ბებიამ.

ავტობუსის მძღოლმა ინციდენტის დეტალები გაიხსენა.

– მეთორმეტეკლასელია, დანა დაარტყეს უკანა კარში, ქალები ყვიროდნენ, დანა მერე ჩამოიყვანეს და სკამზე დააწვინეს, – თქვა მან.

მძღოლი ამბობს, რომ მომხდარის დეტალები არ დაუნახავს, ამის შემდეგ მან ტრანსპორტი გააჩერა, რის შემდეგაც გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

თვითმხილველების თქმით, თავდამსხმელმა მოზარდს ბასრი იარაღით მიაყენა ჭრილობა და გაიქცა.

ავტობუსიდან ამოღებულია უსაფრთხოების კამერის ჩანაწერი და ნაპოვნია დანაშაულის იარაღი, რომელიც შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 30 მეტრში გადააგდეს.

ექიმების განცხადებით, 17 წლის მოზარდს შინაგანი სისხლდენა აღენიშნებოდა და მას ოპერაცია ჩაუტარდა.

– მდგომარეობა იყო მძიმე, იყო მახვილი საგნით მიყენებული ჭრილობა მუცლის წინა კედელზე, შინაგანი სისხლდენით, პაციენტს აღმოეჩინა გადაუდებელი დახმარება, 15 საათზე გადაყვანილი იქნა საოპერაციოში, – განაცხადეს საავადმყოფოში.

ექიმის თქმით, დაზიანებული იყო კუჭი, პანკრეასი, ქვემო ღრუ ვენა, კუჭის გამჭოლი ჭრილობა იყო, ასევე, იყო პანკრეასის ქვედა კიდის გამჭოლი ჭრილობა.

– შესაბამისად, გაიკერა კუჭი, პანკრეასი, ქვემო ღრუ ვენა გაიკერა. დანაკარგი არის დაახლოებით 2 ლიტრამდე სისხლი. პაციენტის მდგომარეობა არის მძიმე, – განაცხადა ექიმმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

– ეს მუხლი 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ფაქტთან დაკავშირებით აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს, – განაცხადეს შსს-ში.



## მალხაზ კობაურს ბრალი წაუყენეს





ამერიკული ოჯახის მკვლელობისთვის დაკავებულ მწყემსს, მალხაზ კობაურს, გუშინ, 10 ივლისს, ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

ბრალდებული ბრალს არ აღიარებს.

დაკავებულის ადვოკატი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს სმიტების ოჯახის, მათ შორის 4 წლის ბავშვის მკვლელობა არ ულიარებია და მისთვის გაუგებარია, რატომ გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მსგავსი ინფორმაცია.

ადვოკატი დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი კონკრეტულ ინფორმაციას ფლობს.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ფლობს გარკვეულ ინფორმაციას, მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს. მზად არის ეს ინფორმაცია მიაწოდოს გამოძიებას.

არ ვიცი, ბრალდების მხარის ამდაგვარი განაცხადი რას ემყარებოდა, მაგრამ დაცვის მხარე როცა ჩაერთო საქმეში, ადვოკატები შევხვდით და გავესაუბრეთ მას აქვს ამდაგვარი პოზიცია, – ამბობს ადვოკატი ალუდა ბუჩუკური.

მალხაზ კობაურის დედაც ამბობს, რომ მის შვილს ამერიკული ოჯახის მკვლელობაში ბრალი არ მიუძღვის.

– ერთი ეს ვიცი, რომ ჩემი შვილი უდანაშაულოა და ვიღაც უდგას უკან. ვიცი, რაც არის ჩემი შვილი და ვიცი, რომ მე მკვლელი შვილი არ მყავს გაზრდილი. უწლოვანი ბავშვი აიყვანა და ის დამარხა, რატომ ითხოვა დახმარება, რომ დედის გვამს ვერ მიეკარა? თუ მაგის გაკეთებულია, მიიყვანდა და იმ დედასაც დამარხავდა. ეგ არის ვიღაცის გაკეთებული და ჩემს შვილს მიაბერტყეს ხელი, – ამბობს მარიამ მარტიაშვილი.

## გლდანში მოზარდებმა ბეკოს მაღაზია გაქურდეს

### წაღებულია 30 მობილური

გლდანში ბეკოს მაღაზია გაქურდეს. წაღებულია 30 მობილური ტელეფონი. მათი ღირებულება რამდენიმე ათას ლარს აღწევს.

სამართალდამცავებმა კამერების ჩანაწერები ამოიღეს. სავარაუდოდ, ქურდები არასრულწლოვნები იყვნენ.

შემთხვევა გუშინ დილის 6 საათზე მოხდა.

ბეკოს გლდანის ფილიალი ამ თვეში უკვე მეორედ გაქურდეს.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლით აღიძრა, რაც ქურდობას გულისხმობს.

უწყების ცნობით, დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი. ამ დროისთვის მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.




## ოჯახური ძალადობის ჩადენის გამო შსს-ს 3 თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს

2018 წლის ექვსი თვის განმავლობაში, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დისციპლინური პასუხისმგებლობა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული დისციპლინური სამართალდარღვევის გამო შსს-ს 10 თანამშრომელს დაეკისრა.

ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა გუშინ, 10 ივლისს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.




როგორც ნათია მეზვრიშვილმა აღნიშნა, შსს აქტიურად ებრძვის ოჯახში ძალადობას, არა მხოლოდ სამინისტროს გარეთ, არამედ სისტემის შიგნითაც.

– 2018 წლის ექვსი თვის განმავლობაში, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად დისციპლინური პასუხისმგებლობა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული დისციპლინური სამართალდარღვევის გამო შსს-ს 10 თანამშრომელს დაეკისრა, რომელთაგან ოთხს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე არასათანადო რეაგირების გამო. ხოლო ექვს თანამშრომელს, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა მათ მიერ ჩადენილი ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, აღნიშნული თანამშრომლებიდან სამი თანამშრომლის მიმართ გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მკაცრი ზომა და ეს ადამიანები დათხოვნილი არიან შსს-ს რიგებიდან, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

## ბათუმში მამაკაცი და მისი შვილი დაჭრეს

ბათუმში მამაკაცი დაჭრეს. 28 წლის ახალგაზრდას ცივი იარაღით ჭრილობა ზურგის არეში აქვს მიყენებული. დაშავებულის ოჯახის წევრების ინფორმაციით, დანაშაული მეზობელმა ჩაიდინა.



გავრცელებული ინფორმაციით, თავდაპირველად მეზობელმა დაშავებულის მცირეწლოვან ბავშვს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რასაც მამაკაცებს შორის ურთიერთშელაპარაკება მოჰყვა.

დაჭრილი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების მის მდგომარეობას სტაბილურად აფასებენ. დაზიანება აქვს მიყენებული დაჭრილი მამაკაცის შვილსაც.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ, ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით მიმდინარეობს.

## ქალი ბავშვებს დანით გამოეკიდა

### რა მოხდა რუსთავში

რუსთავში, XI მიკრორაიონში, უცნობი ქალი არასრულწლოვან ბავშვებს ცივი იარაღით გამოეკიდა.

არსებული ინფორმაციით, ქალსა და ბავშვებს შორის მანამდე სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. ინციდენტის დროს პირმა, რომელიც ფაქტს შეესწრო, პოლიციაში დარეკა. ადგილზე საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები დროულად მივიდნენ.

ინფორმაციას ამის შესახებ „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

ფაქტზე გამოძიება სსკ 12ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვანზე ძალადობას გულისხმობს.

ინციდენტში მონაწილე ქალი იდენტიფიცირებულია და პოლიციაში ის უკვე დაკითხეს.

# ერდოღანმა ფინანსთა მინისტრად საკუთარი სიძე დანიშნა




თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ქვეყნის მთავრობის განახლებული შემადგენლობა წარადგინა. ვიცე-პრეზიდენტის ახლად შექმნილ თანამდებობაზე ერდოღანმა ფუათ ოქთაი დანიშნა, რომელიც მანამდე საგანგებო სიტუაციების სააგენტოს ხელმძღვანელობდა.

ბინალი ილდირიმი, რომელიც ძველ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა, სავარაუდოდ, პარლამენტის სპიკერი გახდება. საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლავ მევლუთ ჩავუშოღლუ უხელმძღვანელებს.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა და ხაზინის მინისტრის პოსტზე ერდოღანმა საკუთარი სიძე ბერათ ალბაირაქი დანიშნა.

# მოსკოვში დუმის დეპუტატს სცემეს



მოსკოვის სახელმწიფო დუმის დეპუტატ სერგი ჟიგარევს სცემეს. ის პარლამენტის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის სიით გავიდა. ამ პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკია.

თანახმად ჟიგარევის ჩვენებისა, მას უცნობი მამაკაცი დაესხა თავს. ჩხუბი მაშინ მოხდა, როცა დეპუტატი თავის მეგობარ ქალთან ერთად მანქანაში ჩაჯდა. უცნობმა მამაკაცმა მანქანის კარი გააღო, დეპუტატი გადმოათრია და წიხლებით შედგა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# ავღანეთში აფეთქების შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა

ავღანეთის აღმოსავლეთში, ნანგარჰარის პროვინციაში აფეთქების შედეგად სულ მცირე 11 ადამიანი დაიღუპა და 4 დაშავდა.

თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი ქალაქ ჯალალაბადში, პოლიციის ერთ-ერთ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან აიფეთქა. გარდაცვლილთა შორის, შესაძლოა როგორც ძალოვნები, ასევე სამოქალაქო პირებიც იყვნენ.

ავღანეთის ტერიტორიაზე მოქმედ არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერ არ აუღია.

# ტრამპი: „კიმი შეთანხმებას დაიცავს“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჩინეთის პოზიციის გამო შეშფოთება გამოთქვა.

ტრამპის აზრით, ჩინეთთან ე.წ. სავაჭრო ომის პასუხად ოფიციალურ პეკინს შეუძლია ჩრდილოეთ კორეაზე ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს.

– მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ კიმ ჩენ ინი დენუკლეარიზაციის თაობაზე დადებული შეთანხმების ერთგული დარჩება, – თქვა ტრამპმა.



# ზახარ პრილეპინმა დონბასი დატოვა

დონბასი დატოვა სკანდალურად ცნობილმა რუსმა მწერალმა ზახარ პრილეპინმა. ის სეპარატისტების ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურის მოადგილე იყო. პრილეპინი მოსკოვში დაბრუნდა.



ზახარ პრილეპინი (ევგენი ნიკოლოზის ძე პრილეპინი) 1975 წელს დაიბადა. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. პარალელურად მსახურობდა ომონში. ის მონაწილეობდა ჩეჩნეთის ომში და სპეცოპერაციებში დაღესტანში. პრილეპინი ხოტბასასხამდა რუსი ჯარისკაცის გმირობას ჩეჩნეთში, აფხაზეთში თუ სამხრეთ ოსეთში. პრილეპინი დონბასში სეპარატისტებს ეხმარებოდა. თავის ტელეინტერვიუებში ის აცხადებდა, რომ დონბასში რუსული მოსახლეობის გენოციდი მიმდინარეობს და რეგიონში რუსული არმიის დამატებითი ძალების შეყვანას მოითხოვდა.

# ტაილანდის მღვიმეში ჩარჩენილი ყველა ბავშვი და მათი მწვრთნელი ამოიყვანეს

ტაილანდში მღვიმეში ჩარჩენილი 12-ვე ბავშვი და მათი მწვრთნელი გადაარჩინეს. ყველა მათგანი გამოქვაბულიდან გამოიყვანეს.



12 მოზარდი და მათი 25 წლის მწვრთნელი 23 ივნისს დაიკარგნენ. ისინი ტაილანდის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ტჰამ ლუანგის გამოქვაბულში შევიდნენ, მოულოდნელად ძლიერი წვიმა წამოვიდა, გამოქვაბული წყლით აივსო და ჯგუფი მღვიმიდან გარეთ ველარ გამოვიდა. დაკარგულები 9 დღის შემდეგ იპოვეს.

სამაშველო ოპერაცია დროში იყო შეზღუდული, რადგან მოსალოდნელი იყო, ნებისმიერ დროს წამოსულიყო მუსონური წვიმები, რაც მღვიმეში წყლის დონის მატებას გამოიწვევდა.

მღვიმეში 90-მდე აკვალანგისტი მუშაობდა. 40 ტაილანდელი და 50 – სხვა ქვეყნებიდან.

სამაშველო ოპერაცია სრულ სიბნელეში სიარულს, ცოცვას, ცურვას და ყვინთვას გულისხმობდა. ბავშვები გამოქვაბულიდან ნაწილ-ნაწილ გამოჰყავდათ. მაშველებს და ბიჭებს სახეზე სპეციალური ნიღბები ეკეთათ. ასევე თან ჰქონდათ ჟანგბადის ბოთლები. თითოეულ ბიჭს 2 მაშველი აცილებდა.

# კანადაში ანომალიური სიცხისგან გარდაცვლილთა რიცხვმა 70-ს მიაღწია

კანადაში, კვებეკის პროვინციაში, ანომალიური სიცხისგან გარდაცვლილთა რიცხვმა 70-ს მიაღწია.




ჰაერის ტემპერატურა კვებეკის პროვინციაში +40 გრადუსს აჭარბებს. გარდაცვლილი 70 ადამიანიდან 34 ქალაქ მონრეალში ცხოვრობდა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, გარდაცვლილთა უმრავლესობა 60 წელს გადაცილებული, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები არიან.

ყოველდღიურად გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში 1.200-ზე მეტი ზარი შედის. ანომალიური სიცხის გამო მონრეალის ხელისუფლებამ საცურაო აუზების სამუშაო საათები გაახანგრძლივა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ფეხით მოსიარულე სიცხის გამო ქუჩაში გაშიშვლდა

ამერიკის ვერმონტის შტატის ქალაქ ბერლინგტონის ქუჩებში შიშველი ფეხით მოსიარულე შენიშნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

შიშველი მამაკაცი, რომელსაც მხარზე მწვანე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული და თეთრი წინდების, ბოტასებისა და წითელი ქუდის გარდა არაფერი ემოსა, ქალაქის ცენტრში მიდიოდა.

– ძალიან ცხელა, – განუმარტა მან ჟურნალისტს, რომელიც ქუჩაში წამოეწია, – ეს არის თავისუფლება.

ფეხით მოსიარულეს თქმით, ტანსაცმლის გარეშე სიარული ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. მან ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა და ჟურნალისტს სთხოვა, რომ მისთვის თავი დაენებებინა.




– არაფერს ვაშავებ, მხოლოდ საკუთარი თავით ვტკბები, – აღნიშნა უცნობმა.

აშშ-ის ეროვნული მეტეოროლოგიური სამსახურის მინაცემებით, ბერლინგტონში ჰაერის ტემპერატურა 39 გრადუსამდე იყო ასული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**სხვადასხვა**

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ადიდასისა და პუმას ომი

მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდები სხვადასხვა ბრენდებით არიან შემოსილნი. ყველაზე მეტად ადიდასი და პუმა სჭარბობს. ეს ორი კომპანია თავიდან ერთი იყო, შემდეგ გაიყო და ახლა ერთმანეთს უწევენ კონკურენციას.

საინტერესო ისტორიაა, როგორ დაიწყო და განვითარდა ამ კომპანიების ბედი.

ჰერცოგენაურახი გერმანიისთვის სპორტული თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია, მიუხედავად იმისა, რომ იქ ერთი სერიოზული გუნდიც არ არსებობს. ზუსტად მდინარე აურას სანაპიროებზე მდებარეობს ორი უდიდესი სპორტული ბრენდის სათაო ოფისები – ადიდასი და პუმა. მათ სპორტულ ნივთებს მთელი პლანეტა იყენებს, მაგრამ ისტორია სულ სხვანაირად წარიმართებოდა, რომ არა ორი ძმის – რუდოლფ და ადოლფ დასლერების უთანხმოება.

ძმები მეწაღის ოჯახში დაიბადნენ. თავიდან დედას ეხმარებოდნენ, მაგრამ შემდეგ, მამის საქმიანობამ გაიტაცა და ფეხსაცმელზე მუშაობდნენ. რუდოლფი და ადოლფი ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ მუდმივად კამათობდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს – ვინ უკეთ თამაშობს ფეხბურთს, ვინ სწრაფად დარბის, ვის დიდი ცოდნა აქვს და ა.შ.

როდესაც 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, რუდოლფი ჯარში გაიწვიეს. ადოლფი მასზე 2 წლით უმცროსი იყო, ამიტომ ფრონტზე ბრძოლის მიწურულს გაუშვეს. ომში არც ერთი დაშავებულა: ადოლფი სახლში დაბრუნდა, ხოლო რუდოლფი მიუნხენში გაემგზავრა, რათა პოლიციის კურსები გაევლო. მაგრამ როგორც კი გაიგო, უმცროსი ძმა საკუთარ ქარხანას ხსნიდა, მაშინვე დაბრუნდა ჰერცოგენაურახში.

ასე გაჩნდა 1924 წელს გებრუდერ დასლერის კომპანია, რომელიც მხოლოდ სპორტულ ფეხსაცმელს უშვებდა. ეს ძალიან მამაცური გადაწყვეტილება იყო, რადგან ქვეყანაში კრიზისი მძვინვარებდა, ჯერ კიდევ ეტყობოდა იქაურობას ომის ნაიარევები, სპორტით კი თითქმის არავინ კავდებოდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დასაწყისი ძალიან კარგი გამოვიდა: კომპანია უფრო და უფრო მეტ შეკვეთას იღებდა, ძმები კი აღარ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს და ერთად მუშაობა ისწავლეს. ადოლფი კერავდა ფეხსაცმელს და შესანიშნავად იცოდა ეს საქმე. რუდოლფი გაყიდვების პროფესიონალი იყო, ის მარტივად ძალიან ბევრ მყიდველს პოულობდა. თანდათანობით, ბიზნესის მასშტაბები უფრო და უფრო იზრდებოდა და საზოგადოებისგან მეტ ყურადღებას იქცევდა.

1928 წელს რუდოლფი 18 წლის ფრიდლიზე დაქორწინდა, ხოლო ადოლფმა 6 წლის შემდეგ იქორწინა 17 წლის კატარინაზე. გოგოები მათ ქარხანაში ეხმარებოდნენ, მაგრამ ხშირად ვერ უგებდნენ ერთმანეთს. ფეთქებადი ხასიათისა და ამბიცურ კატარინას უფრო დიდი ძალაუფლება სურდა, მაგრამ ეს ძალიან არ მოსწონდა მორიდებულ და გონიერ ფრიდლის.

– ფრიდლი შაბათ-კვირასაც კი შრომობდა. ის ბუღალტერიაში მუშაობდა და ნამდვილად ძალიან ბევრს აკეთებდა კომპანიისთვის. კატი ძალიან ახალგაზრდა იყო და ასეთი სამუშაო არ სურდა. მას საკუთარი გზა ჰქონდა, კარიერული ამბიციები. ამიტომ მუდმივად ადოლფთან ერთად იყო, სურდა, კომპანია მას ემართა, – იხსენებს მისი და, ბეტი.

1933 წელს გერმანიის მთავრობაში ჰიტლერი მივიდა. დასლერების ბიზნესისთვის ეს ახალ შესაძლებლობებს ხსნიდა: ნაციონალ-სოციალისტები ძალიან ბევრ ფულს ხარჯავდნენ სპორტში და მიიჩნევდნენ, რომ 1936 წლის საშინაო ოლიმპიადა რეჟიმის რეპუტაციას აამაღლებდა მსოფლიოში. რამდენიმე წლის შემდეგ, რუდოლფი და ადოლფი პარტიაში გაწევრიანდნენ.

– ნაცისტები ძალიან შეიჭრნენ სპორტში. ფიქრობდნენ, რომ ეს მათ ძალიან დაეხმარებოდა. სპორტის მეშვეობით, ახალგაზრდებს პარტიაში აწევრიანებდნენ, ამისთვის კი ძალიან ბევრი ფეხსაცმელი იყო საჭირო. მოგვიანებით, ძმები ძალიან ნანობდნენ, რომ ნაციონალ-სოციალისტებს დაუკავშირდნენ, – ყვება ადიდასის არქივარიუსი, კარლ-ჰაინც ლანგი.

– იმ დროისთვის ნებისმიერ გერმანულ კომპანიაში ძალიან რთული იყო მუშაობა, თუ არ გქონდა რაიმე კავშირი პარტიასთან. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სპორტს ეხებოდა, რომელსაც ნაცისტების პროპაგანდისტური მანქანა მართავდა", – ამბობდა ბარბარა სმიტი, ავტორი წიგნისა, ადიდასისა და პუმას დაპირისპირებაზე.

დასლერები ბერლინის ოლიმპიადის დაწყებამდე გამდიდრდნენ – მათ ჰერცოგენაურახის ყველაზე მდიდარ ოჯახსაც კი უწოდებდნენ. იყიდეს ძალიან დიდი სასახლე, სადაც ყველა ერთად ცხოვრობდა: პირველ სართულზე – ადოლფის ოჯახი, მეორე სართულზე – რუდოლფის, ხოლო მესამეზე – მშობლები. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მალე სახლში დაძაბულობამ იჩინა თავი: ფრიდლი ხშირად ჩხუბობდა კატარინასთან, ძმები კი საკუთარ ცოლებს იცავდნენ. ამ ტოტალური უთანხმოებისგან, დასლერები საერთო მიზანმა გაათავისუფლა – კარგი სპორტსმენის პოვნა, რომელიც მონაწილეობას ოლიმპიადაში მიიღებდა და კომპანიას კარგ რეკლამას გაუკეთებდა. ადოლფს ამერიკელი ათლეტი, ჯესი ოუენსი სურდა და მისი თანხმობის მოსაპოვებლად, ოლიმპიურ სოფელში ფეხსაცმლით სავსე ჩემოდნით გაემგზავრა.



– ძმების ბუცებმა ფეხსაცმლის ბიზნესი გადაატრიალეს. ოუენსი აღტაცებული იყო, როდესაც ისინი მოირგო, მაგრამ აფროამერიკელთან თანამშრომლობა რისკს შეიცავდა, დასლერებმა ყველაფერი შესანიშნავად გააკეთეს, – ამბობდა ბარბარა სმიტი.

ოუენსმა მათი იმედები გაამართლა: მან 4 ოქროს მედალი მოიპოვა და კომპანია ასახელა, რომელიც დღეში 1.000 წყვილზე მეტ ფეხსაცმელს უშვებდა. ერთი წლის განმავლობაში, დასლერებმა შემოსავლებში წარმოუდგენელ რიცხვებს მიაღწიეს და ახალი შენობა შეიძინეს წარმოებისთვის. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მაგრამ ეს გეგმები მეორე მსოფლიო ომმა დაანგრია.

1943 წელს დასლერები ფრონტზე გააგზავნეს, კომპანია და ქარხნები კი წაართვეს, იქ კი, იარაღსა და ჩექმებს ამზადებდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ ძალიან უხარისხო ფეხსაცმელი იკერებოდა, ადოლფს დაბრუნების ნება დართეს, რათა ჯარისკაცებისთვის ფეხსაცმელი დაემზადებინა. რუდოლფი ამ დროს მსახურობდა და როცა გაიგო, რომ ძმა უკვე სახლში იყო, წარმოუდგენლად გაბრაზდა. ყველაფერი გაუარესდა მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ბომბდამშენებმა ჰერცოგენაურახის ტერიტორიები დაბომბეს. რუდოლფის ცოლი თავის დასთან და უფროს შვილთან, არმინოსთან ერთად, ადოლფის ოჯახთან აღმოჩნდნენ სარდაფში. ადოლფი ბოლო შევარდა იქ და დაიყვირა – ეს ღორები კვლავ დაბრუნდნენ! ფრიდლიმ რატომღაც გაიფიქრა, რომ ადოლფმა ის და მისი შვილი იგულისხმა.

– ძალიან ბევრჯერ გავიმეორე, რომ ადოლფს ჩვენზე არ უთქვამს, ეს ბომბდამშენებზე თქვა, მაგრამ არავინ მისმენდა, – იხსენებდა ფრიდლის და.

ამ მომენტმა დასლერების ურთიერთობა სამუდამოდ გააფუჭა. ძმები თითქმის არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ასეთ პირობებში ქარხნების მართვა შეუძლებელი იყო.

ომის შემდეგ ბავარიის მიწა, სადაც ჰერცოგენაურახი მდებარეობდა, ამერიკის საოკუპაციო ზონაში მოყვა. დასლერებს დაკითხვა მოუწყვეს და რუდოლფს კვლავ არ გაუმართლა: გესტაპოსთან კავშირის გამო, ის სტაჟიორთა ბანაკში გაგზავნეს. ადოლფს კი პირიქით, ძალიან გაუმართლა. მას ნება მისცეს, დარჩენილიყო და გაეგრძელებინა საქმე: ამერიკელებზე მისმა ისტორიებმა, თუ როგორ აცმევდა მათ სპორტსმენებს ოლიმპიადაზე, შთაბეჭდილება მოახდინა.

– ორივე ძმას ძალაუფლება სურდა. როდესაც ბაბუა ამერიკელებმა გამოიძახეს, მან აღიარა, რომ გესტაპოზე მუშაობდა, მაგრამ შემდეგ სიტყვა უკანვე წაიღო. ამან ვერ უშველა და ბანაკში გააგზავნეს, სადაც უთხრეს, რომ ის თავისიანმა ჩაუშვა. რა თქმა უნდა, რუდოლფმა ძმაზე გაიფიქრა, რამაც ის მდგომარეობიდან გამოიყვანა, – ყვება რუდოლფის შვილიშვილი იორგი.

რუდოლფმა ბანაკში თითქმის ერთი წელი გაატარა. იმ დროისთვის კომპანია ადოლფის ხელმძღვანელობით ასრულდება ამერიკელების შეკვეთებს და დაიწყო კალათბურთისა და ბეისბოლის ფეხსაცმლის წარმოება. ერთ დღეს, ის კვლავ გამოიძახეს დაკითხვაზე, სადაც გაირკვა, რომ რუდოლფი ბანაკში მასზე ყველაფერს ყვებოდა, მათ შორის, კატარინასთან კამათზეც კი, რომელსაც ძალიან ეგოისტურად მიიჩნევდა. ის ასე ცდილობდა, ადოლფისთვის პრობლემები შეექმნა. მაგრამ ამან არ იმუშავა – ამერიკელებს ძალიან მალე მობეზრდათ დასლერების ისტორიები ერთმანეთზე. როდესაც რუდოლფი ქალაქში დაბრუნდა, ძმებმა გადაწყვიტეს, რომ ერთად აღარ იმუშავებდნენ.

გადაწყვიტეს ყველაფერი თავიდან დაეწყოთ. ერთ საღამოს, შეკრიბეს ყველა თანამშრომელი და პრინციპული არჩევანის წინაშე დააყენეს – რუდოლფი თუ ადოლფი. ყველაფერი ღიად კეთდებოდა, არავინ არავის განსჯიდა. მომუშავეების დიდმა ნაწილმა ადოლფი აირჩია, დანარჩენები კი მის ძმასთან დარჩნენ. 1949 წელს ქალაქში ახალი სპორტული ქარხნები გაჩნდა – ადიდასი და პუმა. ქარხნებს ერთმანეთისგან 500 მეტრი აშორებდა და ორივე ცდილობდა, უფრო პოპულარული ყოფილიყო. მეტოქეობა იმდენად გამძაფრდა, რომ კომპანიები ერთმანეთს ჯაშუშობაში სდებდნენ ბრალს. ადოლფი ნერვიულობდა და ყველაზე ჰქონდა ეჭვი, იმათზეც კი, ვისთან ერთადაც წლები მუშაობდა. მსგავსი მდგომარეობა იყო პუმაშიც.

ბრენდებს შორის ყველაზე გამძაფრებული ბრძოლა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ იყო, რომელიც გერმანიის ტერიტორიაზე ტარდებოდა. ტურნირის წინ, გუნდთან ორივე კომპანიის აგენტები მუშაობდნენ, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ნაკრებს მათი ფეხსაცმელი აერჩია. საბოლოოდ, ადიდასმა გაიმარჯვა და გერმანიის ნაკრები მათი ბუცებით გამოდიოდა.

1974 წლის შემოდგომაზე რუდოლფს სიმსივნე აღმოუჩინეს. ის გრძნობდა, რომ მალე მოკვდებოდა და ადოლფის ნახვა სურდა. ბოლოს, ისინი ერთმანეთს სპორტული ფეხსაცმლის გამოფენაზე შეხვდნენ, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს დალაპარაკება. ადოლფი ამტკიცებდა, რომ ის არ იყო გაბრაზებული ძმაზე, მაგრამ მაინც არ მოინახულა. რუდოლფის დაკრძალვაზეც კი არ მისულა ოქტომბერში. ადიდასის დამაარსებელი კი 4 წლის შემდეგ ინსულტით გარდაიცვალა.

2009 წელს, გაყოფიდან 60 წლის შემდეგ, კომპანიებმა მაინც ჩაატარეს შერიგების მატჩი. მათ ეს დღე – 21 სექტემბერი – მსოფლიოს საერთაშორისო დღედ აქციეს.

## 20 წლამდე ნაკრებმა შეკრება გამარჯვებით დაასრულა



ლატვიაში, საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ბოლო საკონტროლო მატჩი მასპინძლებთან გამართა და დაძაბულ ბრძოლაში – 69:65 იმარჯვა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა ნაკრებმა წინა მატჩში დამარცხებისთვის ლატვიელებს რევანში აუღო. შეგახსენებთ, რომ ქართველებმა პირველ საკონტროლო შეხვედრაში ესტონელებს სძლიეს, ხოლო შემდეგ, დაძაბულ ბრძოლაში, ლატვიასთან 52:58 დამარცხდნენ.

დასკვნით მატჩში ქართველებმა დამაჯერებლად ითამაშეს და პირველი პერიოდის 14:11 მოგების შემდეგ მეორეშიც იმარჯვეს. დიდ შესვენებაზე საქართველო 7 ქულით იგებდა, ხოლო მესამე პერიოდი ფრედ – 16:16 დასრულდა. დასკვნით ათწუთეულში მასპინძლებმა ინიციატივის მოპოვება მოახერხეს, თუმცა 7 ქულით ჩამორჩენილებმა გამარჯვებამდე მისვლა ვერ მოახერხეს. საქართველოს ნაკრებმა კარგი დაცვის ხარჯზე მოახერხა უპირატესობის შენარჩუნება და ბოლო საკონტროლო მატჩი ლატვიის ძლევით დაასრულა.

საქართველოს ნაკრებში 17 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ლადო ფურცხვანიძე. 13 ქულით, 6 მოხსნითა და 3 პასით გამოირჩა ლევან ბაბილოძე, სანდრო მამუკელაშვილის ანგარიშზე კი 11 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა.

საქართველოს ნაკრები დღეს ბულგარეთში გაემგზავრა, სადაც 13-22 ივლისს ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მატჩები გაიმართება. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან ფინეთი, პოლონეთი, კოსოვო და პორტუგალია. პლეი ოფში ჯგუფის 2 საუკეთესო ნაკრები გავა და გააგრძელებს ა დივიზიონში გადასასვლელ სამეულში მოსახვედრად ბრძოლას.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპისთვის ემზადება

15 ივლისიდან ბარსელონა წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. 16 საუკეთესოს შორის საქართველოს ნაკრებიცაა.

საქართველოს წყალბურთელებმა 5-დღიანი საწვრთნელი შეკრება ჯერ სლოვაკეთში გაიარეს, სადაც მასპინძელთა გუნდთან 2 ამხანაგური შეხვედრაც გამართეს და მოგება-წაგება გაცვალეს.

შემდეგ ნაკრებმა ჰოლანდიაში გადაინაცვლა, სადაც იქაურ ნაკრებთან მსგავსი შედეგი აჩვენა.

მთავარი მწვრთნელის, რევაზ ჩომახიძის შეგირდებმა მზადების ბოლო ეტაპი თბილისში გაიარეს. დიღმის საცურაო აუზმა თბილისის თასს უმასპინძლა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ყაზახები, სლოვაკები და თურქები მონაწილეობდნენ.

სლოვაკები და თურქები ჩვენთან ერთად მონაწილეობენ ევროპის ჩემპიონატზე, ამიტომ ეს ტურნირი ერთგვარი გამოცდაც იყო. ასპარეზობის პირველ დღეს ქართველები ყაზახებს დაუპირისპირდნენ და 10:7 (5:1, 2:2, 1:3, 2:1) იმარჯვეს.

ქართველთაგან 3-3 ბურთი ცრეპულიასა და რურუას ანგარიშზეა, 2 გოლი გაიტანა ელაჩამ, თითოჯერ თავი ქავთარაძემ და მაგრაქველიძემ გამოიჩინეს.

ამავე დღეს თურქებმა სლოვაკებთან 5:11 წააგეს.

მეორე ტურში ქართველ წყალბურთელებს უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავდათ – სლოვაკეთის ნაკრები. ჩვენებმა დაძაბულ ბრძოლაში 8:7 (3:3, 1:0, 0:2, 4:2) იმარჯვეს.

რურუამ და მაგრაქველიძემ 2-2 გოლი გაიტანეს, თითოჯერ მეტოქის კარი ცრეპულიამ, იმნაიშვილმა, შუშიაშვილმა და ჩიქვინიძემ აიღეს.

მეორე ტურის მე-2 შეხვედრაში ყაზახეთმა თურქეთს 5:4 აჯობა.

დასკვნითი ტურს ჩვენთვის სატურნირო თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან პირველი ადგილი განაღდებული იყო, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი ეტაპისთვის მწვრთნელს ბევრი რამ უნდა დაენახა, რათა საბოლოო შემადგენლობა შეერჩია.



საქართველომ თურქეთი იოლად, 19:5 (7:2, 5:0, 2:0, 5:3) დაამარცხა. ცრეპულიამ ამჯერადაც 3 გოლი გაიტანა, ამდენივე დაგროვდა ბაღათურიას ანგარიშზე, 2-2 გოლი ქავთარაძემ, იმნაიშვილმა, ელაჩამ, ჯახაიამ, მაგრაქველიძემ და გეგელაშვილმა ჩაიწერეს აქტივში, ერთხელაც ბითაძემ გაიტანა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ზურაბ რურუა აღიარეს, მეკარედ – ყაზახი ლიპილინი, მცველად – საქართველოს ნაკრების წევრი მარკო ელაჩა, საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი და 8 ბურთით ბომბარდირი გახდა სლოვაკი პუზიკი. გამარჯვებულები და პრიზიორები თბილისის მერმა კახი კალაძემ დააჯილდოვა.

**რევაზ ჩომახიძე:**

– კარგი ტურნირი იყო, სერიოზული მეტოქეებიც გვყავდა, რამაც ძალების გამოცდის კარგი საშუალება მოგვცა. სლოვაკეთისა და თურქეთის ნაკრები გუნდებიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეები არიან. ამიტომ მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო ეს ორთაბრძოლები. გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ ამჯერად ჩემი მოთამაშეების ფიზიკური კონდიციები და სათამაშო ტაქტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები მაინტერესებდა. საბოლოოდ ტურნირის შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ გვაქვს დრო და ზოგიერთი ხარვეზის აღმოფხვრას მოვასწრებთ. გუნდის საბოლოო შემადგენლობას 11 ივლისს დავასახელებთ, 14 ივლისს კი ესპანეთს მივაშურებთ.

# კრიშტიანუ რონალდუ იუვენტუსში გადავიდა



რეალის სუპერვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ იუვენტუსში გადავიდა.

ამის შესახებ თავად რეალმა განაცხადა.

ბლანკოსმა კრიშტიანუ 105 მილიონ ევროდ გაყიდა.

იუვენტუსმა მას ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და სეზონურ გასამრჯელოდ 30 მილიონი დაუნიშნა. აქედან 20 მილიონს – ფერარი, ხოლო 10 მილიონს ფიატი გადაუხდის.

– რეალში გატარებული წლები, შესაძლოა, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი იყო. ამ კლუბის მადლიერი ვარ. ყველას მადლობას ვუხდი იმ სიყვარულისთვის, რომელიც აქ მივიღე.

თუმცა, ჩემს კარიერაში და ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო და ამიტომ ვთხოვე „რეალს“, მიეღო სატრანსფერო წინადადება. ყველას და განსაკუთრებით ჩემს გულშემატკივრებს ვთხოვ, გაგებით მოეკიდონ ჩემს გადაწყვეტილებას, – განაცხადა რონალდუმ.

# სამპაოლი ისევ არგენტინის ნაკრების მწვრთნელია



ალბათ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდნის შემდეგ, არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ხორხე სამპაოლი ისევ დარჩებოდა. კრიტიკის ქარცეცხლის მიუხედავად, არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია მის გათავისუფლებას ჯერ არ აპირებს. არადა, რამდენიმე დღის წინ მის სავარაუდო შემცვლელთა სია საკმაოდ ხალხმრავალი იყო.

ფედერაციის პრეზიდენტი კლაუდიო ტაპია და 58 წლის სპეციალისტი ერთმანეთს შეხვდნენ, ვერ გეტყვით რა კომპრომატები აქვს სამპაოლის ტაპიაზე, მაგრამ მათი საუბრის შემდეგ არგენტინის ფეხბურთის მმართველმა ორგანომ დაადასტურა, რომ სამპაოლი ჯერჯერობით პოსტზე რჩება. მეტიც: მას 20-წლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელობაც დაავალეს.

ერთია, ივლისის ბოლოს არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტი შეიკრიბება, მუნდიალს გააანალიზებენ და სამპაოლის მომავლის შესახებ იმსჯელებენ. სავარაუდოდ, დატოვებენ კიდეც, რადგან გაშვების შემთხვევაში მისთვის ფულის გადახდა მოუწევთ – საუბარია 15-20 მილიონ ევროზე.

შეგახსენებთ, რომ ხორხე სამპაოლი არგენტინის ნაკრების დამრიგებლად შარშან დაინიშნა – არგენტინელებმა სევილიიდან მისი კონტრაქტი გამოისყიდეს. სამპაოლის არგენტინის ფეხბურთის ასოციაციასთან კონტრაქტი 2022 წლის მუნდიალის ჩათვლით აქვს გაფორმებული.

# რეალიდან ბენზემაც მიდის?



კარიმ ბენზემა, შესაძლოა, რეალიდან წავიდეს და კარიერა ნაპოლიში გააგრძელოს, სადაც მას კარლო ანჩელოტი ეპატიჟება.

ბენზემამ თავის ინსტაგრამის გვერდზე რეალის ფანებს მიმართა და მათ ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ბენზემას წასვლა არ უხსენებია, ბევრი მიიჩნევს, რომ ამ პოსტით ის რეალის ფანებს დაემშვიდობა.

კარიმ ბენზემა რეალში 2009 წელს გადავიდა, სწორედ მაშინ, როდესაც რეალს კრიშტიანუ რონალდუ შეუერთდა.

სიმბოლურია, რომ ეს ორი ფეხბურთელი ერთდროულად მივიდა რეალში და, შესაძლოა, მათ ეს გუნდი ერთდროულად დატოვონ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ჯიჯი ბუფონი არიზში ვარჯიშობს



მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ჯანლუიჯი ბუფონის ფრანგულ პსჟ-ში გადასვლაა. იტალიელმა მეკარემ თავის ახალ გუნდში პირველი ვარჯიში უკვე ჩაატარა.

ჯიჯის გულშემატკივრებმა გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს.

ბუფონმა ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი 1+1 სისტემით ახლახან გააფორმა. მანამდე ის ტურინის იუვენტუსის ღირსებას იცავდა, რომელსაც კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ დაშორდა.

**ჯიჯი ბუფონი:**

– პსჟ-ის გადასვლა იმიტომ მოვინდომე, რომ ვგრძნობდი, კიდევ შემიძლია რაღაც. მსურს დავამტკიცო, რომ ჯერ კიდევ კარგი მეკარე ვარ და ამას გავაკეთებ კიდეც. იტალიის ნაკრებშიც ბოლო დრომდე იმიტომ გამოვდიოდი. ვითამაშებ იქამდე, სანამ შემეძლება კარგად თამაში და დავამტკიცებ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ვარ. როგორც კი ვიგრძნობ, რომ აღარ შემიძლია, მაშინვე გვერდზე გავდგები. მომწონს სირთულეები და საკუთარი თავის გამოცდა. პირველი ვარჯიშის ჩატარება მარტივი არ იყო, რადგან გუნდში ბევრი ფეხბურთელი სხვა ენაზე საუბრობს, მაგრამ ეს არ მიშლის ხელს ბედნიერებაში.

იტალიელი მეკარის დებიუტი პსჟ-ში, შესაძლოა, 4 აგვისტოს, საფრანგეთის სუპერთასის მატჩში შედგეს, რომელშიც პარიზელები მონაკოს დაუპირისპირდებიან.

შეგახსენებთ, ჯიჯი ბუფონი იუვენტუსის ღირსებას 2001 წლიდან იცავდა, ტურინულ კლუბს კი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ, ამ ზაფხულს დაემშვიდობა. ჯიჯიმ იუვენტუსთან ერთად 11-ჯერ მოიგო სკუდეტო (2 ჩამოართვეს), იტალიის ნაკრებში კი 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

# სტუდენტმა ინტიმური შინაარსის შეტყობინებების გახმაურების გამო თავი მოიკლა





მედიკოსმა სტუდენტმა მას შემდეგ მოიკლა თავი, როდესაც რაგბიში მისმა თანაგუნდელმა მისი შეტყობინება გოგონასთან მცირე ინტრიგის თაობაზე საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა.

სამედიცინო უნივერსიტეტის 22 წლის სტუდენტმა ედვარდ სენიორმა თანაკურსელ გოგონასთან თავისი ურთიერთობის თაობაზე ახლო მეგობრებს უამბო. მათ კი გადაწყვიტეს გახუმრებოდნენ და ფეისბუქში შეტყობინება ასეულობით სხვა სტუდენტს გაუგზავნეს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გამოძიება ჩაატარა და გადაწყვიტა სტუდენტი დასჯის მიზნით ლექციებისთვის ჩამოეცილებინა. ედვარდს შეეშინდა, რომ მისი ოცნება სამედიცინო კარიერაზე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა, ვინაიდან ამ სასჯელს შესაძლოა უნივერსიტეტიდან გარიცხვა მოჰყოლოდა.

სწავლას ჩამოშორებული სტუდენტი მონმუტშირის საგრაფოში მდებარე საკუთარ ოჯახში დაბრუნდა. მალე კი მშობლებმა ედვარდის ცხედარი ტყეში იპოვეს. მის ოთახში კი დატოვებული იყო წერილი.

– ის რაც ედვარდს შეემთხვა ხაზს უსვამს იმას, თუ როგორი სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია, – განაცხადა სასამართლო პროცესზე უფროსმა გამომძიებელმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ჯანი იუვენტუსშია და რონალდუს ელოდება

სანამ ტურინის იუვენტუსში კრიშტიანუ რონალდუს ელიან, 24 წლის ემრე ჯანმა ტურინულ კლუბთან კონტრაქტი 2022 წლამდე გააფორმა. აღსანიშნავია, რომ იუვემ ფეხბურთელი უფასოდ ჩაიგდო, რადგან მას ლივერპულთან კონტრაქტი ამოეწურა.

**ემრე ჯანი:**

– როცა ფეხბურთის თამაში დავიწყე, ჩემი პირველი მწვრთნელი იუვენტუსის დიდი გულშემატკივარი იყო. კარგად მახსოვს, 6 თუ 7 წლის ვიყავი, როცა მითხრა, ერთ დღესაც იუვენტუსში ითამაშებო. და აი, მისი წინასწარმეტყველება ახდა – მე აქ ვარ! სხვათა შორის, პაველ ნედვედი ჩემთვის მისაბაძი მაგალითი იყო, ალესანდრო დელ პიერო კი – საყვარელი ფეხბურთელი. ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ უპირატესობა იუვენტუსს მივანიჭე. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ტურინელები წლების მანძილზე მეკონტაქტებოდნენ. შესაბამისად, გადმოვედი იმ კლუბში, რომელსაც ჩემი გადაბირება ყველაზე მეტად სურდა.



იუვეს დიდი მიზნები აქვს და მინდა, რომ ამ პროექტის ნაწილი ვიყო. ეს არის გუნდი გამარჯვებულის მენტალიტეტით – აქ ტიტულების მოსაგებად ჩამოვედი. რონალდოს თანაგუნდელობა? ნებისმიერი ფეხბურთელისთვის გრანდიოზული ამბავია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 11 ივლისისთვის



**ვერძი** – კონფლიქტური სიტუაციები ენერგიას გაცლით. თქვენი ბიუჯეტი მკვეთრად იზრდება. **კურო** – მიუხედავად დაბრკოლებისა, საქმეებს აგვარებთ. ინტუიციას მიენდეთ. **ტყუპები** – დღეს აქტიურობას ერიდეთ. უმჯობესია, ცოტა დაისვენოთ და ენერგია აღიდგინოთ. **კირჩხიბი** – სულიერი სიმტკიცე და თვითგანვითარება დღის დევიზია. კონფლიქტს თავს მარტივად აარიდებთ. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. ენერგია სწორი მიმართულებით ხარჯეთ. **ქალწული** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. **სასწორი** – გარშემომყოფებს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. ეცადეთ, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღოთ. **მშვილდოსანი** – წინდაუხედავ საქციელს შესაძლოა ფინანსური ზარალი მოჰყვეს. ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. ოჯახის წევრებისგან ყურადღებასა და მზრუნველობას გრძნობთ. **თხის რქა** – აქტიური და ენერგიული დღეა. მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. **მერწყული** – ემოციები მოთოკეთ. კონფლიქტში ნუ ჩაერთვებით და საკუთარი პრინციპების დასაცავად ყველა ხერხს ნუ გამოიყენებთ. **თევზები** – დღეს საყოფაცხოვრებო პრობლემებს შეეჭიდებით. საქმე დინჯად და დაკვირვებით აკეთეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ფუძემდებელი; 2. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 5. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 10. ამერიკული ჯიპი; 11. ცნობილი იაპონელი კინორეჟისორი, სცენარისტი; 12. უმცროსი მეთაური გემზე, კაპიტნის თანაშემწე; 13. გამდნარი ლითონების მიერ აირების შთანთქმის ქიმიური პროცესი; 16. თაღლითი, რომელიც რამე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ბულგარეთის პირველი მეფე; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 23. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

**თარაზულად**: 6. ბოკაჩოს რომანი; 7. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 8. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 9. შეძენილი ჭკუასუსტობა; 14. ნიადაგის სათხრელი მანქანა; 15. მშვიდობისმოყვარე, ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 18. მამათა მონასტერი; 20. მოხალისეთა ჯარი; 22. შავი ზღვის ზვიგენი; 24. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 25. სპილენძის შემცველი მწვანე ხასხასა მინერალი; 26. ალ. ყაზბეგის მოთხრობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „კონტრევილი“; 2. ჭედილა; 3. „კოპელია“; 4. გონიო; 5. ციცერონი; 6. პოგბა; 7. „ქინძაძა“; 9. შოპენი; 13. უელსი; 17. კობე; 18. „გზა“.

**თარაზულად:** 1. კაჭკაჭი; 3. კრეიგი; 8. ბინომი; 10. დიადემა; 11. ტროპი; 12. ბოჭორმა; 14. ავანსი; 15. აკაპელა; 16. „ნოკია“; 19. ნასერი; 20. ჭინჭილა; 21. მანეჟი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შენგელია; 2. ვარდი; 3. დეკანოზი; 4. ბელუჩი; 7. ებანი.; 9. ქსანი; 12. აგლომერატი; 14. რეკეტი; 15. კრაკოვი; 17. მოლუსკი; 20. ვერდი.

**თარაზულად:** 5. სერენადა; 6. არეშიძე; 8. ჭიდაობა; 10. ბანკროტი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. ტოლმა; 19. ცაიში; 21. „ნესტლე“; 22. ევრიპიდე; 23. კრიკეტი.

# ნინი ონიანი: „ენას კბილი დააჭირეთ!“



მოდელი და მსახიობი ნინი ონიანი ცნობისმოყვარეებს ენაზე კბილის დაჭერასა და ნაკლებ ჭორაობას ურჩევს. ის მოცლილებს სოციალური ქსელის საშუალებით საჯაროდ აფრთხილებს:

— საერთოდ არ მინდოდა ამის დაწერა, მაგრამ, საქვეყნოდ გამოვაცხადებ, თუ არ მოისვენებთ, რა ხალხიც ხართ. თქვენთვის ხომ ხალხის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს! ყველასთან რომ ანგელოზებად მოგაქვთ თავი, პირში უცინით და ზურგს უკან ლანძღავთ. რამდენი საერთო ნაცნობი გვყავს ასეთი, რომლებსაც მეგობრები ჰგონიხართ!!! ენას კბილი დააჭირეთ და თქვენი ოჯახის წევრებს მიხედეთ. ვისზე რა გაქვთ სალაპარაკო? კაციან-ქალიანად უვარგისები ხართ ყველა და ენა დაიმოკლეთ, თორემ ძალიან ცუდად დამთავრდება თქვენი ამბავი. პირადად მე ვიქნები ამის პასუხისმგებელი..!! ადამიანი, რომელსაც ენა უბრუნდება და უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ დედაზე ამბობს, რომ შვილი არ უყვარს (ეს ერთ-ერთია იმ საშინელებებიდან, რასაც ლაპარაკობთ) და თან ამას ამბობს ბავშვის თანდასწრებით, დასაჭერია და მიფრთხილდით!

ჩემზე, რაც გინდათ, ის გილაპარაკიათ, სანამ ბოღმა და ბოროტება არ დაგახრჩობთ. მაგრამ ჩემს შვილს როცა ეხება, არ ვაპატიებ ამას არავის! ადამიანური დამოკიდებულება თქვენ ვერ შეირგეთ და თქვენს ენაზე დაგელაპარაკებით მაშინ!

უვარგისებო! ყველამ გაიგოს, ვინც ხართ სინამდვილეში და გავაგებინებ, ენას თუ არ დაიმოკლებთ! ყველას გეხებათ სათითაოდ და ვიცი, კარგად რომ კითხულობთ, ჯერჯერობით სახელებს არ დავწერ და დამშვიდდით, ჯობია. მდაბიოებო და განუვითარებლებო!

# არტ-გენის დასკვნითი კონცერტები თბილისში გაიმართება



ფესტივალი არტ-გენი, ტრადიციულად, რეგიონებში დაიწყო და დასკვნით კონცერტებს უკვე დედაქალაქში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ გამართავს.

არტ-გენი 2018-ის თბილისის ტური თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში 15 ივლისამდე გაგრძელდება. წელს ფესტივალი მაყურებელს საინტერესო სიახლეებს სთავაზობს, მათ შორის, ჰიპ-ჰოპის დღეს. ერთი კვირის განმავლობაში ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარმოდგენილი იქნება ქართული ტრადიციული რეწვის გამოფენები, მოეწყობა ჰამაკებისა და პუფების ზონა, წარმოდგენილი იქნება ქართული სამზარეულო და სხვადასხვა ტიპის კრეატიული სივრცე.

ფესტივალის თბილისის ტურის გახსნის პატივი ნინო ქათამაძესა და ჯგუფ „ინსაითს“ ერგო, 15 ივლისს კი არტ-გენი ნიაზ დიასამიძისა და 33ა-ს კონცერტით დაიხურება.

წელს პირველად არტ-გენ-ზე ჰიპ-ჰოპის დღე გაიმართება. ფესტივალის სტუმრებს ელოდებათ „სუხიშვილების“, რობი კუხიანიძის, ჯგუფ ფრანისა და ჯგუფ რეგიონის კონცერტები. უკვე მეორედ ფესტივალის სცენა დაეთმობა ჯგუფ აზია სოულს, რომლის სიმღერის ჩანაწერიც სულ ცოტა ხნის წინ ინტერნეტსივრცეში ჰიტად იქცა და ფართო აუდიტორიის განსაკუთრებული მოწონება მოიპოვა.

არტ-გენი 2018-მა სტარტი 21 ივნისს რეგიონული ტურნეთი აიღო. ფესტივალი წელს საქართველოს 4 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთსა და ლეჩხუმში 9 დღის განმავლობაში მოგზაურობდა.

2004 წლიდან დღემდე ფესტივალმა არაერთი ახალი ანსამბლის, ჯგუფისა და მუსიკოსის ჩამოყალიბებასა და განვითარებას შეუწყო ხელი. ცოცხალი და საავტორო მუსიკის პოპულარიზაციის ფარგლებში მისი დამსახურებით არაერთი ნიჭიერი მუსიკოსი და ბენდი გაიცნო ფართო აუდიტორიამ. ბევრი ჯგუფისა და მომღერლისთვის ის ერთგვარ ტრამპლინადაც კი იქცა. ფესტივალი წელსაც საინტერესო სიახლეებს სთავაზობს მაყურებელს და და დებიუტანტებსაც წარუდგენს მსმენელს.

ფესტივალი არტ-გენი 2004 წელს დაფუძნდა. ამ დროის განმავლობაში ფესტივალმა მთელი საქართველოს მასშტაბით უნიკალური ეთნოგრაფიული მასალები მოიკვლია და დაარქივა, მათ შორის, დაკარგვის პირას მყოფი ბევრი უნიკალური მასალა. ფოლკლორისა და თანამედროვე მუსიკის ერთ სივრცეში წარმოდგენითა და სხვადასხვა ტიპის აქტივობით არტ-გენს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდებში ფოლკლორის პოპულარიზაციის ხელშეწყობასა და რეგიონებში ფოლკლორული ანსამბლების განვითარების საქმეში. ის იყო ერთ-ერთი პირველი ფესტივალი, რომელმაც რეგიონულ ანსამბლებს თავიანთი შემოქმედების მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოჩენის შესაძლებლობა მისცა და განვითარებისთვის მეტი მოტივაცია შეუქმნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ჩეხური ლუდი; 2. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 3. იტალიური რესტორანი; 4. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 6. მრავალშრიანი ფანერა; 7. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. პორტუგალიური შემაგრებული ღვინო; 13. ფულის ერთეული რუსეთში; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 18. უქოჩრო მოლაპარაკე თუთიყუში.

**თარაზულად**: 1. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 3. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 8. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 10. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. იაპონური ავტომობილი; 12. უბანი ძველ თბილისში; 14. საქართველოს თავდაცვის მინისტრი; 15. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 19. არაბი გლეხი; 20. ხელოვნური აბრეშუმი; 21. ქერისგან მომზადებული უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*




# ანიტა რაჭველიშვილი: „განათლების სისტემა გვაქვს სამარცხვინო!“



ასე ფიქრობს ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი და ყველანაირი უბედურებისა და წარუმატებლობის სათავედ გაუნათლებლობა მიაჩნია:

— გაუნათლებლობა! აი, ეს არის ყველაფრის თავიდათავი! განათლების სისტემა გვაქვს სამარცხვინო! უწიგნური ადამიანი კიდევ ყველაზე და ყველაფერზე საშიშია!

რეფორმა გვჭირდება! ისეთი განათლება გვჭირდება, როგორც მოწინავე ქვეყნებშია!

ვახ, ჩემო საქართველო!

# გურამ შეროზია გოგონას მამა გახდა

ბლოგერი გურამ შეროზია და მისი მეუღლე ხატია ჯოხარიძე გოგონას მშობლები გახდნენ. პატარა იმედის კლინიკაში 4.200 კგ დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.



**გურამ შეროზია:**

— ათი ივლისი...

დღე, რომელიც უჩვეულოდ, განსაკუთრებულად და სრულიად განსხვავებულად თენდება.

დღე, როცა სამყარო უფრო ფერადი, პოზიტიური და ოპტიმისტურია.

დღე, როცა უსასრულო ლოდინს ბოლო მოეღო:

დღე, როცა მამა გავხდი.

მაღალი, მსუქანი 4.2 კგ. არაპუნქტუალური და წაბლისფერთმიანი ელენას მამა.

ძალიან ივაჟკაცეს ექიმებმა, დიდი მადლობა ლიკა ლუაშვილსა და იმედის კლინიკას.

ახლაც ცოტა შოკში ვარ და ბევრ, უცნაურ და აქამდე განუცდელ შეგრძნებებს განვიცდი...

მადლობა გულშემატკივრობისთვის!

# აჩიკო ნიჟარაძე: „შეიძლება, სწრაფი ტემპებით მიეხედოს ყველაზე მთავარ პრობლემას დედაქალაქში — ტრანსპორტს“



მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე დედაქალაქის ხელმძღვანელობას ტრანსპორტის სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს:

— მოვითხოვთ, რაც შეიძლება სწრაფი ტემპებით მიეხედოს ყველაზე მთავარ პრობლემას დედაქალაქში — ტრანსპორტს, რომელიც წამლავს ხალხს და ასევე საწვავს. რა საწვავი შემოდის, აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს.

ხალხი ავადდება ყოველდღე და ვიღაცა ამით მდიდრდება. ეს არის, კიდევ ვიმეორებ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა.

სხვა ყველაფერი გვერდით მოგვრჩება, თუ დავიხოცეთ! სოს!

# „იქს ფაქტორის“ გამარჯვებული ანრი გუჩმანიძე გახდა



ბათუმელი მომღერალი ანრი გუჩმანიძე „იქს ფაქტორი 2018“ გახდა. უკვე რამდენიმე სეზონია, პროექტის გამარჯვებული ზედიზედ ბათუმელი კონკურსანტი ხდება. გიორგი ნაკაშიძემ, სანდრო კურცხალიძემ, ავთო აბესლამიძემ და ანრი გუჩმანიძემ პირველობა არავის დაუთმეს და პროექტის გამარჯვებულები გახდნენ.

„იქს ფაქტორის“ ფინალში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ გორის გოგონათა გუნდი და მისი ხელმძღვანელი დათო ევგენიძე, თამთა ხუხუნაიშვილი და მისი ხელმძღვანელი თამთა გოდუაძე, გიორგი ფუტკარაძე და მისი ხელმძღვანელი სტეფანე მღებრიშვილი და ანრი გუჩმანიძე და მისი ხელმძღვანელი ანრი ჯოხაძე. ფინალში შოუს მეხუთე მენტორი ნანიკო ხაზარაძე კონკურსანტის გარეშე იყო წარმოდგენილი.

„იქს ფაქტორის“ ფინალში ზარების რეკორდული რაოდენობა, 251.895 ხმა დაფიქსირდა. ხმების 40.79% მიიღო და „იქს ფაქტორი 2018“ ანრი გუჩმანიძე გახდა. პროექტის გამარჯვებულს იუნიქს დეველოპმენტმა საჩუქრად გადასცა ბინა ახალ ფრანგულ უბანში, გალერეა დემასმა კი მას 3.000-ლარიანი ვაუჩერი აჩუქა.

გორის გოგონათა გუნდმა საჩუქრად 5.000 ლარი მიიღო, გიორგი ფუტკარაძე ირისმა 5.000-ლარიანი ვაუჩერით დაასაჩუქრა. მანვე საჩუქრად მიიღო ლეგენდარული „იუ თუს“ კონცერტისა და ფრენის ბილეთი.

მოპედ დეპომ ია ტომაში სუპერპრიზით, მოპედით, დაასაჩუქრა.

თამთა ხუხუნაიშვილმა კი ტელეფონი, თმის მოვლის საშუალებები და ერთწლიანი სასაჩუქრე ვაუჩერი მიიღო.

„იქს ფაქტორის“ დასრულების შემდეგ ანრი გუჩმანიძემ და ანრი ჯოხაძემ სადღესასწაულო ტორტი ერთად გაჭრეს.

# ამერიკელი სიღარიბის გამო კინაღამ უფეხოდ დარჩა



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში, ქალმა, რომელიც მეტროს ბაქნის ქვეშ ჩავარდა და რომელმაც ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო, შეეცადა უარი ეთქვა სამედიცინო დახმარებაზე.

დაშავებულს, რომლის ვინაობა არ ხმაურდება, მატარებლის ვაგონიდან გამოსვლის დროს ფეხი დაუცდა. მისი ფეხი მატარებელსა და ბაქანს შორის არსებულ ჭრილში აღმოჩნდა და გაიჭედა. ქალის დახმარება გამვლელებმა სცადეს. ადამიანების ერთობლივი ძალისხმევით, ვაგონის გადაწევა და ქალის ფეხის განთავისუფლება მოხერხდა.

ქალს თეძოზე დარჩა ღრმა ნაიარევი, რომელიც ძვლამდე იყო ჩასული. ის ვერც დგომას და ვერც სიარულს ახერხებდა, მაგრამ ამის მიუხედავად ხალხს სთხოვდა, რომ სასწრაფო დახმარება არ გამოეძახათ, ვინაიდან მას სამკურნალო თანხა არ გააჩნდა.

— თქვენ არ გესმით, მე საშინელი სამედიცინო დაზღვევა მაქვს, — ამბობდა დაშავებული ქალი.

რამდენიმე წუთში მოვიდა სამედიცინო დახმარება. ექიმებმა ქალს ფეხი შეუხვიეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ივლისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4448 |
| ევრო | 2.8773 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2589 |
| 100 რუსული რუბლი | 3.8945 |

## ამინდის პროგნოზი 11 ივლისისთვის




# უიშვიათესი ინდური მგელი შიმშილით სიკვდილისგან იხსნეს



ინდოეთში გადაარჩინეს იშვიათი ჯიშის მგელი. მას თავიდან პლასტმასის კონტეინერი მოხსნეს.

გარეული ცხოველი ველური ბუნების ფოტოგრაფირებით გატაცებულმა, პროფესიით ბუღალტერმა ტანაი პანპალიამ ქალაქ ნაგპურის მახლობლად აღმოაჩინა. მისი ვარაუდით, ცხოველი კონტეინერში საკვებს ეძებდა რა დროსაც თავი გაეჭედა. როგორც ჩანს, მგელი ასეთ მდგომარეობაში საკმაო ხანს იმყოფებოდა, ვინაიდან ის საკმაოდ გამხდარი იყო.

მამაკაცმა მომხდარის თაობაზე სატყეო დეპარტამენტის ადგილობრივ განყოფილებას აცნობა და ამის შემდეგ მის ორ თანამშრომელთან ერთად ორი საათი ეძებდა მტაცებელ ცხოველს. საბოლოოდ ეკოლოგებმა მგელი იპოვეს, კონტეინერი გაჭრეს და ცხოველი გაათავისუფლეს. ის მაშინვე გაიქცა და თავის ხროვას შეუერთდა.

პანპალიას თქმით, მსგავს კონტეინერებს ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად იყენებენ პროდუქტების შესანახად.

– ისინი მათ, სადაც მოხვდებათ, იქ აგდებენ, რის გამოც სამწუხაროდ ასეთი შემთხვევები მომრავლდა. ჩემთვის ძალიან სამწუხარო იყო, რომ ადამიანის გულგრილობის გამო ასეთი ლამაზი ცხოველი კინაღამ დაიღუპა, – განაცხადა პანპალიამ.

ინდური, ანუ აზიური მგელი რუხი მგლის ქვესახეობას წარმოადგენს და ის ახლო აღმოსავლეთის რეგიონშია გავრცელებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# იუმორი

მამაკაცს სამსახურში იღებენ. გასაუბრებაზე დაწესებულების უფროსი ეკითხება:

– აი, თქვენ შესანიშნავი დახასიათება გაქვთ, კარგი განათლება, კარგ ანაზღაურებასაც იღებდით და რატომ წამოხვედით ადრინდელი სამსახურიდან?

– იქ ნამდვილი „ბარდაკი" იყო.

– კი მაგრამ, აქაც მაგარი „ბარდაკია".

– სამაგიეროდ, ქალები გყავთ ახალგაზრდები.

•••

სახელმწიფო თანამდებობის პირს ნაცნობი ეკითხება:

– არ გრცხვენია, რომ შენი ოთხმოცდაშვიდი წლის სიდედრი ინახავს შენს ოჯახს, თავისი ჯიპებით დაგასეირნებს, თავის მდიდრულ კოტეჯში გაცხოვრებს, მართავს რამდენიმე კომპანიას, შენ კი, ჯან-ღონით სავსე მამაკაცი, მთელი დღეები ზიხარ კაბინეტში და ფურცლების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაწყობით ხარ დაკავებული?

•••

ორი ხანში შესული ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს უყვება:

– იცი, ახალგაზრდობაში კეთილი ჯადოქარი გამომეცხადა, რომელმაც შემომთავაზა ამერჩია, რა მსურდა: კარგი მეხსიერება მთელი ცხოვრების განმავლობაში თუ დიდი ასო.

– მერე?

– არ მახსოვს, რომელი ამოვირჩიე...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დღეს ბუდიზმისკენ პირველი ნაბიჯი გადავდგი.

– მართლა? და რა გააკეთე?

– ყველა პრობლემა დავივიწყე, დივანზე დავწექი და ჭერს მივაშტერდი.

•••

ქალი ექიმს ურეკავს:

– ექიმო, ჩემმა ბავშვმა ქვიშა გადაყლაპა. წყალი დავალევინე და ახლა როგორ მოვიქცე?

– უყურეთ, რომ ცემენტთან არ მივიდეს!...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით



## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



ძვირფასო კოლეგებო, გვინდა გახაროთ, რომ ჩვენმა ჯგუფმა გამომცემლობა 'არტანუჯთან" ერთად მონაწილეობა მიიღო განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სახელმძღვანელოების კონკურსში და ჩვენი სახელმძღვანელოები ძალიან მაღალი ქულებით შეფასდა.

თქვენი მრავალგზის მოთხოვნა, კვლავ დაგვეწერა სახელმძღვანელოები დაწყებითი კლასებისთვის, დავაკმაყოფილეთ. ახლა ჯერი თქვენზეა.

აირჩიეთ ჩვენი წიგნები, რომლებიც სრულად შეესაბამება სტანდარტს და ეროვნულ სასწავლო გეგმას და დავალებების, ტექსტების, დიალოგების, საწერი სავარჯიშოების მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

კომპლექტში შედის მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული და დისკი მოსასმენი მასალით. რა თქმა უნდა, მასწავლებლის წიგნებზეც ვიმუშავეთ. ისინი დაგეხმარებათ გაკვეთილების ეფექტურად დაგეგმვასა და საგნობრივი პროგრამების შედგენაში. გისურვებთ წარმატებებს.

პატივისცემით,
ავტორები:
მაია ლორთქიფანიძე,
ირინა ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე

სახელმძღვანელოების სრული კომპლექტის ელექტრონული ფაილების ნახვა შეგიძლიათ გამომცემლობის ვებგვერდზე:
www.artanuji.ge

# თქვენი ახალი სახელმძღვანელოები

